# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან ● ფასი 1,5 ლარი

№29 (10032) 2026 წლის 11 მარტი, ოთხშაბათი




იხ. 6 გვ.

შარლ დე გოლი:

## სტალინი მარტო წარსულს არ ეკუთვნის, ის მომავლის ისტორიის შემქმნელიც არის!

იოსებ სტალინი:

უინსტონ ჩერჩილის წინადადება მიუღებელია. მას, რა თქმა უნდა, ეწყინება, მაგრამ არა უშავს, იმანაც საკმაოდ ბევრჯერ მაწყენინა.



იბეჭდება პირველად!



8

## „მთვარის მოტაცება“ და „დათა თუთაშხია“



9



იხ. 3 გვ.

კავკასიური კრიზისი:

## ირანის ულტიმატუმი და აზერბაიჯანის „წითელი ხაზები“

## ევროკავშირმა ყულევის ნავთობის ტერმინალი „შეიწყალა“!



იხ. 4 გვ.

## ჟურნალისტთა ფედერაციის სადაგი დღეები



5

## ის გასაოცარი წამები დაკვირვებულ თვალს რომ არ გამორჩენია...

სამამულო ფოტოხელოვნება

## სუს-ის ბადეს ერთბაშად 30 კორუმპირებული ლოქო ამოჰყვა!



იხ. 2 გვ.

## ირანის უსაფრთხოების საბჭოს „შეფი“ დონალდ ტრამპს ემუქრება!



იხ. 3 გვ.



# პრემიერ-მინისტრი ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტს შეხვდა

**საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის (OSCE PA) პრეზიდენტ პერე ჟოან პონს სამპიეტროს შეხვდა.**

მხარეებმა საქართველოსა და ეუთოს შორის ორმხრივი თანამშრომლობის დღის წესრიგი განიხილეს. როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, საქართველო აფასებს ეუთოს მნიშვნელოვან როლს, მათ შორის, კონფლიქტებთან დაკავშირებულ საკითხებში. შეხვედრისას, ყურადღება დაეთმო ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს, განხორციელებულ საკანონმდებლო ცვლილებებსა და დემოკრატიულ სახელმწიფოში სამართლის უზენაესობის პრინციპის დაცვის აუცილებლობას.



# გულთბილი საუბარი ორბელიანთა სასახლეში

**საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ ყაველაშვილი ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის (OSCE PA) პრეზიდენტს, პერე ჟოან პონს სამპიეტროს შეხვდა. შეხვედრა პრეზიდენტის სასახლეში გაიმართა.**

როგორც შეხვედრაზე მიხეილ ყაველაშვილმა განაცხადა, მიესალმება ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტის ვიზიტს საქართველოში. პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ **პერე ჟოან პონს სამპიეტროს** ვიზიტი კარგი შესაძლებლობაა აქტუალურ საკითხებზე დისკუსიის გამართვისა და მომავალი თანამშრომლობის გაღრმავებისათვის.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის ცნობით, შეხვედრაზე საუბარი შეეხო ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს.

პრეზიდენტმა ასევე აღნიშნა, რომ 2012 წლიდან მოყოლებული საქართველო იყო და კვლავ რჩება დემოკრატიული პრინციპების, ადამიანის უფლებებისა და სამართლის უზენაესობის მტკიცე მხარდამჭერი. მანვე ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველო უცვლელად მოქმედებს როგორც კონსტრუქციული და პასუხისმგებლობის მქონე მონაწილე სახელმწიფო, რომელიც მრავალმხრივი თანამშრომლობის განმტკიცებისა და დიალოგის ერთგულია.

# ჩემი შენ გითხარიო!..

ანალიტიკოსი **გია აგაშიძე, თამარ ჩერგოლეიშვილის** და **პეტრე ცისკარიშვილის** დაპირისპირებას სოციალურ ქსელში ეხმიანება.

აგაშიძე აცხადებს, რომ გარე მითითებით გაერთიანებულ „ნაცოპოზიციაში", მიმოწერა, რომელშიც ჩერგოლეიშვილი ცისკარიშვილს შეთანხმების დარღვევაში ადანაშაულებს, ცისკარიშვილი კი მას „ხისთავიან, უვიც არარაობას" უწოდებს, ბუნებრივი რუტინაა.

**„რევანშისტობის გამო ძალად, გარე მითითებით გაერთიანებულ ნაცოპოზიციაში ბუნებრივი რუტინაა – ჩერგოლეიშვილი და ცისკარიშვილი და ა.შ. ამ უზანძეს სერიალში ახალ ეპიზოდებს სწრაფად იღებენ.**

**მოდელირებული ვერსიაა: დავუშვათ, უსამშობლოთა ამ ე.წ. ალიანსმა მიიღო სახელისუფლებო სადავეები, რომელ**



**ეტაპზე დაიწყება შეიარაღებული ურთიერთდაპირისპირება – ცესკოს შედეგების გამოცხადებისას, თანამდებობების გადანაწილებისას თუ უშუალოდ სადარბაზოებთან დახვდებიან ერთმანეთს?"** – წერს გია აგაშიძე.

# სახელმწიფო უსაფრთხოების ბადეს ერთბაშად 30 კორუმპირებული ლოქო ამოჰყვა!

**სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლების მიერ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ჩატარებული მასშტაბური ანტიკორუფციული ღონისძიების შედეგად, 12 სხვადასხვა სისხლის სამართლის საქმეზე გამოვლენილ კორუფციულ დანაშაულებთან დაკავშირებით დაკავებული და პასუხისგებაში მიცემულია 30 ადამიანი.**




**პირველი საქმე: ახმეტის** მუნიციპალიტეტში ქრთამის აღებისა და ქრთამის აღებაში დახმარების ფაქტზე დაკავებულია ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი და ერთი მოქალაქე. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა, მასთან დანაშაულებრივ კავშირში მყოფი პირის დახმარებით, ახმეტის რაიონის სოფელ კასრისწყალში საკარანტინე სივრცის მოსაწყობად, 2 ჰექტარი მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემის სანაცვლოდ, მოქალაქეს ქრთამის სახით გამოართვა 3 000 ლარი.

**მეორე საქმე: ქობულეთში** სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა და თაღლითობის მცდელობის ფაქტზე დაკავებულია ორი ადამიანი, მათ შორის არის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული სასწავლებლის, სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ „ახალი ტალღის" პროფესიული კურსის კოორდინატორი, რომელმაც, მასთან დანაშაულებრივ კავშირში მყოფ პირთან წინასწარი შეთანხმებით, ერთ პირს პროფესიული სასწავლებლის კურსდამთავრებულის ყალბი სერტიფიკატი დაუმზადა.

**მესამე საქმე** ეხება **თბილისში** სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით თაღლითობის მცდელობის ფაქტს, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციასთან ერთობლივი ღონისძიების ფარგლებში დაკავებულია შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის თანამშრომელი.

გამოძიებით გამოვლინდა, რომ მეხანძრე-მაშველი, სამსახურებრივი უფლებამოსილების გამოყენებით, საბერძნეთის მოქალაქეს სავაჭრო ჯიხურის გასახსნელად თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ქირით აღებასა და შემდგომ საქმიანობაში მფარველობას დაჰპირდა, სანაცვლოდ 5 000 ლარი მოსთხოვა და წინასწარ 1 300 ლარი გამოართვა.

**მეოთხე საქმე:** დიდი ოდენობით თაღლითობაში დახმარების, სამსახურებრივი სიყალბისა და სამსახურებრივი გულგრილობის ფაქტებზე **მარტვილის** მუნიციპალიტეტის მერიის ორ სპეციალისტს სოფელ ინჩხურის ადმინისტრაციულ ერთეულში ბრალდება წარედგინა.

ჩატარებული გამოძიებით დადგენილია, რომ ბრალდებულებმა შეადგინეს მიწის ნაკვეთის ადგილზე დათვალიერების ყალბი ოქმი, რომლის საფუძველზეც მოქალაქემ თაღლითურად დაირეგისტრირა სახელმწიფოს კუთვნილი, 13 500 ლარის ღირებულების 2 560 კვ.მ მიწის ნაკვეთი.

**მეხუთე საქმე:** სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით თაღლითობაში დახმარებისა და სამსახურებრივი სიყალბის ფაქტებზე პასუხისგებაშია მიცემული **წალენჯიხის** მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი სოფელ ლიის ადმინისტრაციულ ერთეულში და ამავე მუნიციპალიტეტის მერის ყოფილი წარმომადგენელი სოფელ ჭალის ადმინისტრაციულ ერთეულში.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელმა სოფელ ლიის ადმინისტრაციულ ერთეულში ყალბი ცნობა გასცა, რომლის საფუძველზეც მოქალაქემ თაღლითურად დაირეგისტრირა სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული 6 300 ლარის ღირებულების 1 900 კვ.მ და 22 800 ლარის ღირებულების 6 620 კვ.მ მიწის ნაკვეთები. ყალბი ცნობა გასცა ამავე მუნიციპალიტეტის ყოფილმა წარმომადგენელმა სოფელ ჭალის ადმინისტრაციულ ერთეულში, რის შემდეგაც მოქალაქემ სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული 3 216 კვ.მ მიწის ნაკვეთი საკუთრებაში დაირეგისტრირა.

**მეექვსე საქმე:** სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით თაღლითობაში დახმარებისა და სამსახურებრივი სიყალბის ფაქტებზე ბრალდება წარედგინა **ცაგერის** მუნიციპალიტეტში, სოფელ ოყურეშის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის ყოფილ წარმომადგენელს, რომელმაც გასცა ყალბი ცნობა, რომლის საფუძველზეც მოქალაქემ თაღლითურად დაირეგისტრირა სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული 165 930 ლარის ღირებულების 11 448 კვ.მ მიწის ნაკვეთი.

**მეშვიდე საქმე:** სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით დიდი ოდენობით თაღლითობაში დახმარებისა და სამსახურებრივი სიყალბის ფაქტებზე ბრალდება წარედგინა **გარდაბნის** მუნიციპალიტეტში მერის ყოფილ წარმომადგენელს სოფელ ყარაჯალარის ადმინისტრაციულ ერთეულში. მის მიერ გაცემული ყალბი ცნობის საფუძველზე მოქალაქემ თაღლითურად დაირეგისტრირა 8 840 კვ.მ სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ოთხი მიწის ნაკვეთი, რომელთა ღირებულება 67 060 ლარს შეადგენდა.

**მერვე საქმე:** ბრალდება წარედგინა **მცხეთის** ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელს სამსახურებრივი სიყალბისა და დიდი ოდენობით თაღლითობაში დახმარების ფაქტზე.

ბრალდებულმა მიწის ნაკვეთის ადგილზე დათვალიერების აქტი შეადგინა, რომელშიც არასწორი ინფორმაცია შეიტანა, თითქოს მცხეთაში მდებარე მიწის ნაკვეთი წარმოადგენდა დაინტერესებული პირის მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ, საოჯახო მეურნეობის მოსაწყობად გაცემულ მიწის ნაკვეთს, რის საფუძველზეც მოქალაქემ საკუთრებაში უკანონოდ დაირეგისტრირა 92 636 ლარის ღირებულების 217 კვ.მ მიწის ნაკვეთი.

**მეცხრე საქმე:** წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ დიდი ოდენობით თაღლითობის მცდელობის ფაქტზე პასუხისგებაში მიცემულია **მარნეულის** მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის თანამშრომელი და ერთი მოქალაქე.

იხ. 11 გვ.

# შემთხვევით არაფერი ხდება

**სამხრეთ კავკასიაში ვითარება კრიტიკულ ზღვარს მიუახლოვდა. ირანის ისლამურმა რესპუბლიკამ, რომელიც წლების განმავლობაში, „ცივი დაპირისპირების“ რეჟიმში იმყოფებოდა აზერბაიჯანთან, რიტორიკა პირდაპირ სამხედრო მუქარაზე გადაიტანა. თეირანი ბაქოსგან „სიონისტური ძალების“ გაძევებას და ისრაელთან ენერგეტიკული თანამშრომლობის შეწყვეტას მოითხოვს, წინააღმდეგ შემთხვევაში, სამხედრო დარტყმებით იმუქრება.**



## კავკასიური კრიზისი:

# ირანის ულტიმატუმი და აზერბაიჯანის „წითელი ხაზები“

### ესკალაციის ქრონოლოგია: დრონების იერიში ნახიჩევანზე

**ვითარება მკვეთრად გამწვავდა 5 მარტს, როდესაც აზერბაიჯანის სუვერენულ ტერიტორიაზე, კერძოდ, ნახიჩევანის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ირანული უპილოტო საფრენი აპარატებით იერიში განხორციელდა. აზერბაიჯანული მხარის ინფორმაციით, სამიზნე სამოქალაქო ინფრასტრუქტურა – საერთაშორისო აეროპორტი და სკოლის შენობა გახდა.**

აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტრომ ოფიციალურ განცხადებაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ მათმა ტექნიკურმა საშუალებებმა დააფიქსირეს ოთხი ირანული დრონი, რომელთაგან ერთის განეიტრალება საჰაერო თავდაცვის სისტემებმა შეძლეს, დანარჩენებმა კი ნგრევა გამოიწვიეს.

**„ირანის მხრიდან თავდასხმის ფაქტის უარყოფა სრულიად მიუღებელია. ჩვენ გვაქვს უტყუარი მტკიცებულებები და ვიტოვებთ უფლებას, მივიღოთ ადეკვატური საპასუხო ზომები ჩვენი სახელმწიფოებრივი ინტერესების დასაცავად. ნებისმიერი აგრესია ჩვენს სუვერენიტეტზე საკადრის პასუხს მიიღებს“,** – წერია აზერბაიჯანის თავდაცვის უწყების განცხადებაში.

### ტერორისტული შეთქმულება და „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი“

**პარალელურად, აზერბაიჯანის სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა გაავრცელა ინფორმაცია მასშტაბური ტერორისტული აქტის აღკვეთის შესახებ. დაკავებულია 8 პირი, რომლებიც, გამოძიების ვერსიით, ირანის ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსის (IRGC) დავალებით მოქმედებდნენ.**

მათი სამიზნეები სცილდება მხოლოდ აზერბაიჯანის ფარგლებს: ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის (BTC) ნავთობსადენის აფეთქება – ეს პირდაპირი დარტყმა იქნებოდა ევროპის ენერგოუსაფრთხოებასა და საქართველოს სატრანზიტო ფუნქციაზე.

ისრაელის საელჩო ბაქოში და აშკენაზური სინაგოგა – ეს მიუთითებს იმაზე, რომ ირანი იყენებს ჰიბრიდული ომის მეთოდებს აზერბაიჯანის შიდა დესტაბილიზაციისა და მისი საერთაშორისო იმიჯის შელახვისთვის.

ირანული სახელმწიფო სააგენტო Fars News-ი ავრცელებს ხათამ ალ-ანბიას, ცენტრალური შტაბის მკაცრ გაფრთხილებას. ირანი აზერბაიჯანს განიხილავს როგორც პლატფორმას ისრაელისთვის, რაც თეირანისთვის ეგზისტენციალური საფრთხეა.

**„მოვუწოდებთ აზერბაიჯანს, როგორც მუსლიმურ სახელმწიფოს, გააძევოს სიონისტები და შეწყვიტოს ისრაელის ნავთობითა და გაზით მომარაგება. ჩვენი შეიარაღებული ძალები ყველაფერს აკეთებდნენ მეზობლების უსაფრთხოების დასაცავად, მაგრამ თუ ბაქო გააგრძელებს აგრესორების მასპინძლობას, თეირანი არ გამორიცხავს პირდაპირ სამხედრო მოქმედებებს“,** – წერია ირანის განცხადებაში.

ირანის გაღიზიანებას იწვევს ის ფაქტი, რომ აზერბაიჯანი ისრაელის ნავთობის მოთხოვნის დიდ ნაწილს აკმაყოფილებს, ხოლო სანაცვლოდ იღებს უახლეს შეიარაღებას. აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა დაუყოვნებლივ დაიკავა ბაქოს მხარე. ვაშინგტონმა ნახიჩევანზე თავდასხმას „არაპროვოცირებული აგრესია“ და „სუვერენიტეტის უხეში დარღვევა“ უწოდა.

**„ჩვენ მკაცრად ვგმობთ ირანული რეჟიმის მხრიდან აზერბაიჯანზე მიტანილ იერიშებს. ეს არის აგრესიის უაზრო ესკალაცია. აშშ სრულ სოლიდარობას უცხადებს აზერბაიჯანს და ჩვენი პასუხი იქნება მტკიცე მხარდაჭერა ჩვენი რეგიონული პარტნიორებისადმი“,** – წერია აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებაში.

### არსებობს თუ არა ომის რეალური საფრთხე?

**ანალიტიკოსები მიიჩნევენ, რომ დაპირისპირების საფრთხე დღეს იმაზე მაღალია, ვიდრე ოდესმე. აზერბაიჯანი არ აპირებს ისრაელთან სტრატეგიული პარტნიორობის დათმობას, რადგან ეს მისი სამხედრო უპირატესობის გარანტიაა. თავის მხრივ, ირანი ხედავს, რომ მისი გავლენა სამხრეთ კავკასიაში მცირდება, განსაკუთრებით, თურქეთის გაძლიერების ფონზე.**

კონფლიქტის პოტენციური კერები: ზანგეზურის დერეფანი – ირანი შიშობს, რომ ამ დერეფნის გახსნით ის დაკარგავს სახმელეთო კავშირს სომხეთთან და რეგიონში თურქეთ-აზერბაიჯანის ტანდემი გაბატონდება.

ენერგეტიკული შანტაჟი – BTC მილსადენზე მუქარა პირდაპირ ეხება საქართველოსა და თურქეთსაც, რაც კონფლიქტში ნატოს წევრ ქვეყანას (თურქეთს) ავტომატურად ჩართავს. დღევანდელი დინამიკა აჩვენებს, რომ მხარეები „ზღვარზე სიარულის“ პოლიტიკას მიჰყვებიან. აზერბაიჯანი ინარჩუნებს სიმტკიცეს და ეყრდნობა დასავლეთისა და თურქეთის მხარდაჭერას. ბურთი ირანის მოედანზეა – გადავა ის ჰიბრიდული თავდასხმებიდან ღია ინტერვენციაზე, თუ ეს რიტორიკა მხოლოდ შიდა აუდიტორიისთვის განკუთვნილი „კუნთების თამაშია?“ ერთი რამ ცხადია: ნებისმიერი ნაპერწკალი ნახიჩევანში ან საზღვარზე, შესაძლოა, ფართომასშტაბიან რეგიონულ ომში გადაიზარდოს.

### „ფსიქოლოგიური ომი და ენერგეტიკული შანტაჟი“

**ანალიტიკოსი რამაზ საყვარელიძე ამ პროცესს განიხილავს არა, როგორც ლოკალურ ინციდენტს, არამედ ირანის მცდელობას, შეაჩეროს დასავლეთისა და ისრაელის გავლენის ექსპანსია მის საზღვრებთან.**

**„ირანის მხრიდან ნახიჩევანზე თავდასხმა და, პარალელურად, მუქარა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენზე, ეს არის კლასიკური ენერგეტიკული შანტაჟი. თეირანი ხედავს, რომ აზერბაიჯანი სულ უფრო მეტად ხდება დამოუკიდებელი მოთამაშე, რომელიც ისრაელის ტექნოლოგიებითა და თურქეთის სამხედრო მხარდაჭერით რეგიონულ ლიდერად ყალიბდება.**

**ირანისთვის „სიონისტების გაძევების“ მოთხოვნა მხოლოდ საბაბია. რეალური მიზანია, ბაქომ უარი თქვას იმ სტრატეგიულ პროექტებზე, რომლებიც ირანს გვერდს უვლის. მილსადენის აფეთქების მცდელობა პირდაპირი გზავნილია საქართველოსთვისაც: ირანი ამბობს, რომ მას შეუძლია გააჩეროს ევროპის ენერგომომარაგება, რომელიც ჩვენს ტერიტორიაზე გადის. ეს არის ფსიქოლოგიური ომი, სადაც თეირანი ცდილობს აჩვენოს, რომ კავკასიაში სტაბილურობის გასაღები მხოლოდ მას უჭირავს“,** – აცხადებს ანალიტიკოსი.

* * *

**აღმოსავლეთმცოდნე,** პროფესორი **გიორგი ანთელავა** ყურადღებას ამახვილებს გეოგრაფიულ ფაქტორსა და ირანის შიშზე, რომ იგი რეგიონულ იზოლაციაში მოჰყვება.

**„ირანის აგრესია ნახიჩევანისა და აზერბაიჯანის მიმართ შემთხვევითი არ არის. ნახიჩევანი არის ის წერტილი, სადაც აზერბაიჯანი და თურქეთი ერთმანეთს ხვდებიან. თეირანს აქვს ეგზისტენციალური შიში ე.წ. „ზანგეზურის დერეფნის“ მიმართ. თუ ეს დერეფანი ამუშავდა, ირანი დაკარგავს პირდაპირ სახმელეთო კავშირს სომხეთთან და, ფაქტობრივად, მოექცევა თურქულენოვანი სახელმწიფოების რკალში.**

**როდესაც ირანი აზერბაიჯანს „სიონისტების მასპინძლობაში“ ადანაშაულებს, სინამდვილეში, ის ცდილობს ლეგიტიმაცია მოუძებნოს თავის შესაძლო სამხედრო ინტერვენციას. ნახიჩევანზე დრონებით იერიში იყო „საზვერავი“ ოპერაცია – თეირანმა შეამოწმა აზერბაიჯანის საჰაერო თავდაცვის რეაქცია და დასავლეთის პოლიტიკური სიმტკიცე. აზერბაიჯანის მიერ IRGC-სთან დაკავშირებული პირების დაკავება კი ნიშნავს, რომ ბაქო აღარ აპირებს ირანის „რბილ ძალასთან“ დათმობაზე წასვლას და გადადის მკაცრი კონტრზომების ფაზაში“,** – განაცხადა **ანთელავამ.**

**ლიკა ბერიკაშვილი**



## ირანის უსაფრთხოების საბჭოს ხელმძღვანელი დონალდ ტრამპს ემუქრება!

**თავს გაუფრთხილდით, თავს ნუ გაინადგურებთ,** – ასე მიმართავს ირანის უსაფრთხოების საბჭოს ხელმძღვანელი, **ალი ლარიჯანი** აშშ-ის პრეზიდენტს, დონალდ ტრამპს.

**„ირანის აშურას ერს თქვენი ცარიელი მუქარის არ ეშინია. თქვენზე ძლიერებმაც კი ვერ შეძლეს ირანელი ერის განადგურება. თავს გაუფრთხილდით, თავს ნუ გაინადგურებთ“,** – წერია ალი ლარიჯანის განცხადებაში.

ირანის უსაფრთხოების საბჭოს ხელმძღვანელი აზიარებს დონალდ ტრამპის განცხადებას, სადაც აშშ-ის პრეზიდენტი ირანს ოცჯერ ძლიერი დარტყმით ემუქრება, თუ თეირანი ჰორმუზის სრუტეში ნავთობის გადატანას შეზღუდავს.



## მარიამ ქვრივიშვილი:

# 2036 წლისთვის საქართველო ენერგეტიკულ დამოუკიდებლობას მიაღწევს!

**ხელისუფლების ამოცანაა, 2036 წლისთვის ქვეყანაში დადგმულმა სიმძლავრემ 11,500 მეგავატს მიაღწიოს და ელექტროენერგეტიკული სექტორი სრულიად თვითკმარი გახდეს. ეს ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობისა და უსაფრთხოების გარანტიაა, რომელიც პირდაპირპროპორციულად გულისხმობს იმას, საქართველომ უნდა გაანულოს იმპორტი და სრულად უზრუნველყოს ქვეყანაში გენერირებული ელექტროენერგიით შიდა საჭიროებები,** – განაცხადა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა, **მარიამ ქვრივიშვილმა** ენერგეტიკის სექტორის წარმომადგენლებთან გამართულ შეხვედრაზე.

მინისტრმა ბიზნესის წარმომადგენლებს ენერგეტიკის განვითარების ათწლიანი გეგმის დეტალები გააცნო.

მარიამ ქვრივიშვილის ინფორმაციით, გეგმის პირველი ფაზა გულისხმობს მზის, ქარისა და ჰიდროენერგიის კუთხით 4,000 მეგავატი სიმძლავრის დამატებას.

**„რაც შეეხება მეორე ფაზას, 2032 წლიდან 2036 წლამდე, ჯამურად, უნდა დაემატოს 2,750 მეგავატამდე და ეს ფაზა, ძირითადად, სრულად მიმართულია ისეთი პროექტებისკენ, როგორებიცაა მსხვილი ჰესები. ყველა პროექტს თავისი გონივრული განვითარების, მშენებლობისა და ექსპლუატაციის ვადები აქვს განსაზღვრული და სწორედ ეს არის ლოგიკა 4,000 და 2,750 მეგავატს შორის“,** – განაცხადა **მარიამ ქვრივიშვილმა.**

მინისტრის შეფასებით, ენერგეტიკის დარგის განვითარების 10-წლიან გეგმაზე მუშაობის პროცესში საქართველოს ელექტროსისტემის ქსელში დაერთების წესის ცვლილების აუცილებლობა გამოიკვეთა – ნებისმიერი ენერგეტიკული პროექტის განხილვის პროცესი უნდა იწყებოდეს ეკონომიკის სამინისტროში და სრულდებოდეს ასევე ეკონომიკის სამინისტროში.

**„ეს იქნება სამართლიანი, გამჭირვალე პროცესი და სახელმწიფოს ეცოდინება, რომ ვალდებულება, რომელიც მემორანდუმის ხელმოწერისა თუ შემდგომში, „საქართველოს ელექტროსისტემასთან“ დაერთების ნებართვის გაცემისას განისაზღვრება, ორივე მხრიდან იქნება სამართლიანი. აღარ იარსებებს ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა, რამაც ენერგეტიკული სექტორი თითქმის კოლაფსამდე მიიყვანა – ეს იყო არათანმიმდევრულობა, ე.წ. დაბევებული ნებართვები, როდესაც არ არსებობდა არავითარი მემორანდუმი სახელმწიფოსა და დეველოპერს შორის“.**

შეხვედრის ერთ-ერთი ცენტრალური საკითხი ენერგეტიკის სექტორში მოქმედი კომპანიებისთვის სახელმწიფოს წინაშე დაგროვილი ჯარიმების პატიება იყო.

**„მიმდინარე თვის ბოლოს დასრულდება ჯარიმების პატიებასთან დაკავშირებული პროცესი და გვეცოდინება, რომელი ენერგეტიკული პროექტები რჩებიან და ასრულებენ განახლებული მემორანდუმების ფარგლებში ოპერირებას. ვხედავთ, რომ დინამიკა საკმაოდ დივერსიფიცირებულია, არის რიგი ხელშეკრულებები, რომლებიც გაუქმებისკენ მიდის, თუმცა ყველას ვაძლევთ შესაძლებლობას, რომ ჯარიმა ვაპატიოთ იმ პირობით, რომ განესაზღვრება ახალი ვადები ვალდებულებების შესასრულებლად. ჩვენ ამ ვადებსაც მივყვებით, უბრალოდ, ყველას ვაფრთხილებთ, რომ ეს ვეღარ გადაიქცევა ისეთ ვადებად, რაზეც დღეს პატიების საჭიროება დადგა“,** – აღნიშნა **მარიამ ქვრივიშვილმა.**

შეხვედრაზე განსაკუთრებით გაესვა ხაზი დიალოგისა და ქმედითი ეფექტური კომუნიკაციის მნიშვნელობას სამინისტროსა და კერძო სექტორს შორის.

მინისტრმა საჯარო-კერძო სექტორის თანამშრომლობის კარგ მაგალითად მოიყვანა კანონპროექტი, რომელიც მუნიციპალიტეტებში საშემოსავლო გადასახადი განაწილების წესის ცვლილებას ითვალისწინებს. გარდა ამისა, მარიამ ქვრივიშვილმა განსახილველად მთავრობის ახალი ინიციატივა გააჟღერა, რომელიც 5-მგვტ-მდე ელექტროსადგურების პროექტებს შეეხება. მინისტრის ინფორმაციით, ამ საკითხზე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ წერილით უკვე მიმართა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს.

**შეხვედრა განახლებადი ენერგიების ასოციაციის, „გრედას“ ორგანიზებით გაიმართა. მას ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე ინგა ფხალაძე, საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის გენერალური დირექტორი ვანო ზარდიაშვილი, ესკოს გენერალური დირექტორი თორნიკე ყაზარაშვილი, საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის დირექტორი ვლადიმერ ძნელაძე, აგრეთვე პროფილური ენერგეტიკული დეპარტამენტების ხელმძღვანელები დაესწრნენ.**

**ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო**



# ევროკავშირმა ყულევის ნავთობის ტერმინალი „შეიწყალა“!

**ევროკავშირმა საქართველოში მდებარე ყულევის ნავთობის ტერმინალი რუსეთის წინააღმდეგ სანქციების მე-20 პაკეტში არ შეიტანა. შესაბამისი გადაწყვეტილების შესახებ სანქციების საკითხებში ევროკავშირის სპეციალურმა წარმომადგენელმა, დევიდ ო' სალივანმა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს მაკა ბოჭორიშვილს წერილით აცნობა.**

**„გმადლობთ 2026 წლის 18 თებერვლის წერილისთვის და იმ დოკუმენტისთვის, რომელიც ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს გაუგზავნეთ ევროკავშირის სანქციების მე-20 პაკეტთან დაკავშირებით, რომლის მიღებაც უახლოეს პერიოდში იგეგმება.**

**ამ დროისთვის ევროკავშირს სანქცირებულთა სიაში შეყვანილი ჰყავს 605 გემი. ჩვენ გავაგრძელებთ იმ გემების მიზანში ამოღებას, რომლებიც ძირს უთხრიან ჩვენი სანქციების ეფექტიანობას, მათ შორის, სანქციების მე-20 პაკეტში დაახლოებით კიდევ 40 გემის დამატებით. გემები სანქცირდება ევროკავშირის საბჭოს რეგულაციის (EU) N833/2014-ის საფუძველზე, იმ მტკიცებულებების მიხედვით, რომ აღნიშნული ტანკერები ჩართული იყვნენ მაღალი რისკის მქონე საზღვაო გადაზიდვის პრაქტიკაში. ეს არის ერთ-ერთი სამართლებრივი საფუძველი, რომლის მიხედვითაც, ევროკავშირს შეუძლია გემების მიზანში ამოღება. სხვა საფუძვლები მოიცავს გემებს, რომლებიც მხარს უჭერენ რუსეთის ენერგეტიკულ სექტორს, გადააქვთ სანქცირებული საქონელი ან მონაწილეობენ ევროკავშირის სანქციების გვერდის ავლაში. „ჩრდილოვან ფლოტთან“ ბრძოლა მხოლოდ გემების სანქცირებით არ შემოიფარგლება; იგი მოითხოვს ყოვლისმომცველ მიდგომას, რომელიც მიზანში იღებს მთელ ლოჯისტიკურ ჯაჭვსა და უფრო ფართო ეკოსისტემას...**

**ვალდებულება აგრეთვე აიღო SOCAR-მა, რომ იმოქმედებს ევროკავშირის შესაბამისი სანქციების მკაცრი დაცვით, მათ შორის ფასის ზედა ზღვრის გათვალისწინებით და რუსულ ნედლ ნავთობსა და მისგან წარმოებულ ნავთობპროდუქტებზე ევროკავშირის მიერ დაწესებული იმპორტის აკრძალვის დაცვით. ამ ვალდებულებებმა გადამწყვეტი მნიშვნელობა იქონია ჩვენი შეფასების პროცესში და საბოლოოდ გამოიწვია ყულევის პორტის სანქციების მე-20 პაკეტში არშეტანა.**

**ევროკავშირს აქვს ინსტრუმენტები, რათა სანქციების სიაში შეიყვანოს მესამე ქვეყნების ფინანსური და საკრედიტო ინსტიტუტები, რომლებიც იყენებენ რუსეთის მიერ სანქციების გვერდის ავლის მიზნით შექმნილ სპეციალიზებულ ფინანსურ სისტემებს, როგორებიცაა ფინანსური შეტყობინებების გადაცემის სისტემა (SPFS), სწრაფი გადახდების სისტემა (SBP) და რუსეთის ეროვნული საგადახდო ბარათების სისტემა (MIR) ან უფრო ზოგადად ახორციელებენ ტრანზაქციებს, რომლებიც აფერხებს ჩვენი სანქციების მოქმედებას ან მხარს უჭერს რუსეთის სამხედრო ძალისხმევას. ამ წერილით ასევე მსურს, გაგაფრთხილოთ, რომ ასეთი ფინანსური ინსტიტუტების იდენტიფიცირების შემთხვევაში მათ, შეიძლება, ევროკავშირში ტრანზაქციების აკრძალვა დაეკისროთ.**

**თქვენი ვალდებულება, რომ ევროკავშირის სანქციების გვერდის ავლა საქართველოს ტერიტორიის გავლით არ მოხდება, მომავალშიც ყურადღებით იქნება მონიტორინგის ქვეშ და საჭიროების შემთხვევაში მზად ვართ, შესაბამისი ზომები მივიღოთ, რათა ჩვენი სანქციები არ დასუსტდეს. გმადლობთ თქვენი ძალისხმევისთვის და მოუთმენლად ველოდები ჩვენი თანამშრომლობის გაგრძელებას“,** – აღნიშნულია წერილში.



## ჟურნალისტთა ფედერაციის სადაგი დღეები



# ის გასაოცარი წამები დაკვირვებულ თვალს რომ არ გამორჩენია...



**თუ როგორი საუცხოო შედეგი შეიძლება მოჰყვეს სახელმწიფოსა და ჟურნალისტთა ფედერაციის კეთილგანწყობილ, შეთანხმებულ ურთიერთობას, ამის თვალნათელი მაგალითი გახლდათ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში გამართული საქართველოს კულტურის სამინისტროსა და საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის მიერ ერთობლივად ამოქმედებული პროექტის «ქართული ფოტოგრაფიის» წარდგინება.**



ალექსანდრე კოტორაშვილი



ბადრი ვადაჭკორია



ეროსი მანჯგალაძე



ნინო რამიშვილი — ცეკვის ამორძალი

**— ჭეშმარიტად განსაკუთრებული თარიღია საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის ისტორიაში, რადგან დღეს, სახელმწიფოს ჩართულობით და კულტურის მინისტრის, ქალბატონ თინათინ რუხაძის უშუალო მონაწილეობით, ორმოცდაათი რჩეული ქართველი ფოტოხელოვანის შემოქმედების ამსახველი სერიიდან, პირველი ოთხი მათგანის ნამუშევართა ალბომების წარდგენას ვესწრებით,** — ამ სიტყვებით მიმართა დამსწრეთ შეხვედრის ორგანიზატორმა და გამძღოლმა, ჟურნალისტთა ფედერაციის თავმჯდომარემ **გიორგი მამაცაშვილმა.**

**— საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში ინახება ერის კულტურული და სულიერი საგანძურის მეტად მნიშვნელოვანი ნაწილი, რომლის უმნიშვნელოვანესი მდგენელია ქვეყნის უახლესი წარსულის ისტორიულ ნიჟარაში მოქცეული ფოტომარგალიტები,** — აღნიშნა ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალურმა დირექტორმა **კონსტანტინე გამსახურდიამ. — დიდი მადლობა მინდა მოვახსენო კულტურის სამინისტროსა და ჟურნალისტთა ფედერაციას, რადგან ასეთი პროექტების განხორციელებით ეროვნული მატიანისადმი მიდგომა მომავლის წინაშე სამაგალითოა! ცნობილ ქართველ ფოტოხელოვანთა ალბომებში შესული ფოტოები ისტორიის ცოცხალი სუნთქვაა, ეროვნული ბიბლიოთეკისთვის კი დიდი პატივია, რომ მათი პრეზენტაცია სწორედ აქ იმართება. ისტორია მხოლოდ თარიღები არ არის, ესაა ადამიანთა სახეებიც, მათი თვალების გამომეტყველება, ემოციების გამოხატვა. ამდენად, დღეს ჩვენ ვზეიმობთ იმასაც, რომ ქართული ფოტოგრაფიის ტრადიციები კვლავაც გრძელდება!**

შეკრებილთ, რომელთა შორის იყვნენ ფოტო-ტელე და მწერალი ჟურნალისტები, საზოგადოებისა და აკადემიური სფეროს ცნობილი სახეები, სიტყვით მიმართეს ასევე პროექტის კონსულტანტმა **გონდო მძინარაშვილმა,** სარედაქციო საბჭოს წევრებმა **ჯაბა ხუბუამ, არჩილ გოგელიამ,** თბილისის საპატიო მოქალაქემ **გრიგოლ ჩიგოგიძემ,** ცნობილმა პუბლიცისტმა **იოსებ ჭუმბურიძემ.** გამომსვლელებმა ხაზი გაუსვეს პროექტის ისტორიულ მნიშვნელობას, მის ხორცშესხმაში კულტურის მინისტრის **თინათინ რუხაძისა** და ჟურნალისტთა კავშირის თავკაცის **გიორგი მამაცაშვილის** მიერ შეტანილ წვლილს, სამადლობელი სიტყვებით მიმართეს კულტურის სამინისტროს ლიტერატურის, ბიბლიოთეკებისა და ფოლკლორის სამმართველოს უფროსს **ალექსანდრე გრიგალაშვილს,** ფოტოალბომების ავტორებს **ბადრი ვადაჭკორიას, დემიკო ლოლაძეს, ალექსანდრე კოტორაშვილსა** და **ჯემალ კასრაძეს.**



ჯემალ კასრაძე



დემიკო ლოლაძე

დამსწრე საზოგადოებას გააცნეს პროექტის „ქართული ფოტოგრაფიის“ სარედაქციო საბჭოს შემადგენლობა, აღნიშნა, რომ თითოეული ფოტოალბომის რედაქტორი ასევე გამორჩეული ჟურნალისტი იქნება, რაც გამოცემას უფრო წონადსა და მნახველისთვის მიმზიდველს გახდის. კერძოდ, ბადრი ვადაჭკორიას ფოტოალბომის რედაქტორია პუბლიცისტი, ჟურნალისტი, საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის თავმჯდომარის პირველი მოადგილე **ნანა დევდარიანი,** დემიკო ლოლაძისა — ჟურნალისტი, პუბლიცისტი, ნიკო ნიკოლაძის პრემიის ლაურეატი, საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილე **ჯაბა ხუბუა,** ალექსანდრე კოტორაშვილისა — ცნობილი პუბლიცისტი **თეიმურაზ ქორიძე,** ჯემალ კასრაძისა — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მთავარი რედაქტორი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის გამგეობის წევრი **სპარტაკ ქოგულია.** ასევე ხაზი გაესვა ერთიანად გამოცემის დიზაინისა და კონცეფციის ავტორის, ცნობილი ჟურნალისტის და თავადაც შესანიშნავი ფოტოხელოვანის **პაატა ნაცვლიშვილის** მიერ ამ სასახელო საქმეში შეტანილ წვლილს.

პროექტის დაწყებასთან დაკავშირებით, საქართველოს კულტურის მინისტრს **თინათინ რუხაძეს** ჟურნალისტთა ფედერაციის მადლობის ჯილდო გადაეცა.

საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით, „ქართული ფოტოგრაფიის“ პროექტის პირველი ფოტოალბომების ავტორები — **ბადრი ვადაჭკორია, დემიკო ლოლაძე, ალექსანდრე კოტორაშვილი** და **ჯემალ კასრაძე,** პირველი ქართველი ფოტოგრაფის **ალექსანდრე როინაშვილის** სახელობის პრემიით დაჯილდოვდნენ. ლაურეატების სიტყვები მეტად გულწრფელი და ამაღელვებელი იყო:

**ბადრი ვადაჭკორია:** — თუკი შენი ქვეყანა, მისი ისტორია გიყვარს, ეს საიმიჯო ალბომები ყველა მნახველისთვის საინტერესო იქნება. დიდებული პროექტია და დაწყებაც საუცხოოა!

**დემიკო ლოლაძე:** — დღევანდელი დღე განსაკუთრებით დასამახსოვრებელია ჩემთვის, რადგან ვერასდროს წარმოვიდგენდი, რომ ჩემი გადაღებული ფოტოები ასეთ დიდებულ წიგნად იქცეოდა!

**ჯემალ კასრაძე:** თქვენ მე ოცნება ამისრულეთ!..

**ოთარ ტურაბელიძე**



რამაზ ჩხიკვაძე, გივი ბერიკაშვილი



ირაკლი აბაშიძე, რონინ მეტრეველი

## შარლ დე გოლი:

# სტალინი მარტო წარსულს არ ეკუთვნის, ის მომავლის ისტორიის შემქმნელიც არის!

**პოლონელებმა კარგად იციან, რომ სწორედ ლონდონის მთავრობის აგენტების არასწორი მოქმედების გამო დამარცხდა ვარშავის აჯანყება – იმიტომ, რომ მათ გამოიჩინეს დანაშაულებრივი დაუფიქრებლობა, დროულად არ დაიწყეს კონსულტაციები საბჭოთა სარდლობასთან და მხოლოდ იმ მომენტში ამოქრავდნენ, როცა რუსეთის ჯარებს ჩარევა აღარ შეეძლოთ.**

გარდა ამისა, პოლონეთის ეროვნული გათავისუფლების კომიტეტმა (იგივე „ლიუბლინის კომიტეტმა“) გათავისუფლებულ ტერიტორიაზე აგრარული რეფორმის განხორციელება დაიწყო, რითაც მოსახლეობის მხარდაჭერა მოიპოვა: ის მიწები, რომლებიც ემიგრაციაში მყოფ რეაქციონერებს ეკუთვნოდათ, გლეხებს უფასოდ დაურიგეს. ხვალინდელი პოლონეთი სწორედ აქედან მიიღებს თავის ძალას – ისე, როგორც ამას აკეთებდა საფრანგეთი „დიდი ფრანგული რევოლუციის დროს“.

შემდეგ სტალინმა მომმართა: **„თქვენ თქვით, რომ საფრანგეთს პოლონელ ხალხზე გავლენა აქვს. დიახ, მჯერა, რომ ასეა... მაგრამ რატომ არ სარგებლობთ თქვენი გავლენით, რომ სწორი გადაწყვეტილების მიღება ურჩიოთ? რატომ გაქვთ ისეთივე თავიდან აცილების პოზიცია, როგორც ამერიკას და ინგლისს? მინდა გითხრათ, რომ თქვენგან ველოდებით მოქმედებას რეალისტური პოზიციით, ჩვენთან ერთად და ჩვენი მიმართულებით“.** შემდეგ მან თითქოსდა თავისთვის ჩაილაპარაკა: **„მით უმეტეს, რომ ლონდონს და ვაშინგტონს ჯერ თავიანთი ბოლო სიტყვა არ უთქვამთ“.**

მე ვუპასუხე: „თქვენს აზრს გავითვალისწინებთ. ვხედავ, რომ ასეთ პოზიციას შეიძლება ფართო შედეგები მოჰყვეს. ამასთან, იძულებული ვარ გავიმეორო კიდევ ერთხელ, რომ პოლონეთის მომავალი მთავრობის არჩევა პოლონელი ხალხის საქმეა, რომელსაც, ჩვენი აზრით, უნდა ჰქონდეს უფლება გამოხატოს თავისი ნება საყოველთაო არჩევნების მეშვეობით“.

ველოდებოდი, რომ მარშალი მძაფრ რეაქციას გამოხატავდა, მაგრამ მან, პირიქით, გაიღიმა და რბილად, ხმადაბლა თქვა: **„კარგით, ჩვენ [პოლონელებთან] ამაზე როგორმე მოვილაპარაკებთ“.**

მინდოდა რა ბოლომდე გამეგო სტალინის განზრახვები, მე მას ვკითხე, თუ როგორ ბედს უმზადებდა იგი ბალკანეთის სახელმწიფოებს. მან მიპასუხა, რომ თუ ბულგარეთი დაზავებისთვის მოკავშირეთა პირობებს მიიღებს, თავის დამოუკიდებლობას შეინარჩუნებს, მაგრამ „გარკვეულად მაინც დაისჯება“. გარდა ამისა, ბულგარეთი დემოკრატიული უნდა გახდეს. იგივე იქნება რუმინეთთან დაკავშირებით. „უნგრეთი უკვე მზად იყო ჩაბარებოდა მოკავშირეებს, მაგრამ გერმანელებმა ბუდაპეშტის განზრახვა რომ გაიგეს – ნამდვილად არ ვიცი, როგორ – უნგრელი დიქტატორი ხორტი დააპატიმრეს... თუ უნგრეთში დემოკრატიული მთავრობა ჩამოყალიბდება, მაშინ ჩვენ მას დავეხმარებით იარაღი გერმანიისკენ შეაბრუნოს“, – მითხრა სტალინმა, – „იუგოსლავიასთან ამ თვალსაზრისით პრობლემები არ გვქონია, რადგან ისინი გაერთიანდნენ და ფაშიზმის წინააღმდეგ აჯანყდნენ“. რაც შეეხება საბერძნეთს, „ჩვენ იქ არ შევსულვართ და რაც იქ ხდება, ამაზე ბრიტანელებს ჰკითხეთ“.

გაგრძელება, დასაწყისი იხილეთ „სრ“ 2026 წელი №26-28



როგორც ცნობილი გახდა, ამავე თათბირზე, საბჭოთა კავშირის წარმომადგენლები მზად იყვნენ საკუთარი შეხედულებითა და მეთოდებით ესარგებლათ იმ სახელმწიფოებისა და ტერიტორიების მიმართ, რომლებიც უკვე ოკუპირებული ჰქონდათ ან ემზადებოდნენ მათ გასაკონტროლებლად. ამრიგად, მოსალოდნელი იყო კრემლის მკაცრი პოლიტიკური ზეწოლა ცენტრალური ევროპისა და ბალკანეთის ქვეყნებზე. გასაგები იყო, რომ მოსკოვი ამ საკითხებში ვაშინგტონისა და ლონდონის მხრიდან რაიმე გადამწყვეტ წინააღმდეგობას არ ელოდებოდა. და ბოლოს, შეიძლებოდა მივმხვდარიყავით, რომ **იოსებ სტალინი შეეცდებოდა ჩვენთან გარიგების დადებას – როგორმე მიეღო საფრანგეთის აღიარება პოლონეთის მიმართ მოსკოვის მიერ გატარებულ პოლიტიკაზე.**

ისე, როგორც კარგად დადგმულ დრამაში, როცა ინტრიგა მაყურებელს დაძაბულობაში ამყოფებს, როცა ყველა დეტალი ერთად შეიკვრება და შემდეგ კვანძი იხსნება, ხელშეკრულების დადების პრობლემაც სულ სხვა მოულოდნელი მხრიდან გამოჩნდა. იოსებ სტალინს უინსტონ ჩერჩილი დაუკავშირდა: „ჩემი აზრით, – მოკლედ ატყობინებდა იგი მარშალ სტალინს, – გენერალ დე გოლის ვიზიტის დროს თქვენ გეგმავთ მასთან ისეთი ანალოგიური უსაფრთხოების ხელშეკრულების დადებას, როგორიც ჩემმა და თქვენმა მთავრობებმა დავდეთ 1942 წელს. ამ შემთხვევაში რატომ არ შეგვიძლია ხელი მოვაწეროთ სამმხრივ დოკუმენტს რუსეთს, დიდ ბრიტანეთს და საფრანგეთს შორის? მე, ჩემი მხრიდან, ამისათვის მზად ვარ“.

საბჭოთა წარმომადგენლებმა ინგლისელების წინადადება შეგვატყობინეს. ისინი ამას ნორმალურად თვლიდნენ, მაგრამ მე თანახმა არ ვიყავი.

პირველ რიგში იმიტომ, რომ ჩვენ არ შეგვეძლო მიგვეღო მოქმედების ისეთი ფორმა, როგორიც უინსტონ ჩერჩილმა გამოავლინა. რატომ მიმართა მან მხოლოდ სტალინს იმ საკითხში, რომელიც, ლონდონთან და მოსკოვთან ერთად, თანაბრად ეხებოდა საფრანგეთსაც? მით უმეტეს, რომ მე ვვარაუდობდი – ხელშეკრულება უნდა დადებულიყო სწორედ რუსეთს და საფრანგეთს შორის, რადგანაც გერმანია ხმელეთზე ჩვენ, ორივეს გვებრძოდა და საფრთხეც პირდაპირ ჩვენ ორივეს გვემუქრებოდა. მეორე მომენტი ის იყო, რომ ჩვენ ხელშეკრულების დადება სასწრაფოდ გვჭირდებოდა, ინგლისი კი ვერაფერს ვერ გააკეთებდა, თუ თანხმობას არ მიიღებდა ბრიტანეთის თანამეგობრობის სხვა სახელმწიფოებისგან, რაც საკმაოდ რთული იყო და დიდ დროს მოითხოვდა. განა საომარი ვითარების დროს პარიზსა და მოსკოვს ლონდონის თანხმობა ჭირდებოდათ მოქმედების დასაწყებად? მესამე – ჩვენ გვსურდა, რომ საფრანგეთის აღმოსავლეთი სახმელეთო საზღვრებისა და ტერიტორიების (რური, ელზასი და ა.შ.) საკითხი სწორედ რუსეთთან გაგვერკვია. მოკლედ, ჩვენ მხარი არ დავუჭირეთ სამმხრივი ხელშეკრულების დადებას.

ვიფიქრე, რომ უკვე დადგა მომენტი რუსეთთან მოლაპარაკება დაგვესრულებინა. 8 დეკემბერს ბიდოსთან, გაროსთან და დეჟანთან ერთად კრემლში წავედი, რათა სტალინთან, მოლოტოვთან და ბოგომოლოვთან ბოლო სამუშაო შეხვედრა გაგვემართა.

მე დავიწყე იმით, თუ როგორ მქონდა წარმოდგენილი გერმანიის შემდგომი ბედი: რეინის მარცხენა ნაპირზე (ანუ საფრანგეთის მხარეს) გერმანიის სახელმწიფოს სუვერენიტეტი არ უნდა გავრცელებულიყო და ასეთნაირად გამოყოფილი ტერიტორიები, რომლებიც, პრინციპში, გერმანულენოვნად დარჩებოდნენ, იღებდნენ ავტონომიას და დასავლეთის კონტროლირებულ ზონაში მოექცეოდნენ. რურის აუზზე მყარდებოდა საერთაშორისო კონტროლი. გერმანიის აღმოსავლეთი საზღვარი გავიდოდა მდინარეებზე ოდერზე და ნოისეზე.

ჩვენ, რასაკვირველია, ვაცნობიერებდით, რომ ჯერჯერობით ნაადრევი იყო ამ პირობების შეტანა ხელშეკრულებაში, თუმცა პოზიციას არ ვცვლიდით, რადგან ძალიან გვინდოდა, რომ ინგლისი და აშშ ფაქტის წინაშე დაგვეყენებინა.

ალიანსების შექმნას რაც შეეხება, ჩვენი ვარაუდით, ისინი „სამსართულიანი პრინციპით“ უნდა შექმნილიყვნენ: საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულება, რომელიც პირველი დონის უსაფრთხოებას უზრუნველყოფდა, მეორე – ინგლის-საბჭოთა კავშირის და საფრანგეთ-ინგლისის ხელშეკრულებები მეორე დონის უსაფრთხოებით და მესამე – სამომავლო პაქტი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შექმნის შესახებ, რომლის დროსაც მთავარ როლს აშშ შეასრულებდა და რომელიც ყველა შეთანხმებას დააგვირგვინებდა.

გაერო იქნებოდა უსაფრთხოების უზრუნველმყოფი ბოლო ინსტანცია. სტალინთან საუბრისას მე კიდევ ერთხელ ჩამოვთვალე ის მიზეზები, რომლის გამოც უარი ვთქვით უინსტონ ჩერჩილის წინადადებაზე სამმხრივი ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებით. გამოსვლის ბოლოს დავადასტურე ჩვენი განზრახვა მოსკოვიდან 10 დეკემბერს, დილით გავსულიყავით.

იოსებ სტალინს ისევ არაფერი განსაზღვრულად არ უთქვამს ჩემს წინადადებებზე გერმანიის სამომავლო საზღვრებთან დაკავშირებით. მან ჯერ ხაზი გაუსვა იმ უპირატესობებს, რომლებიც, მისი აზრით, სამმხრივ ხელშეკრულებას ექნებოდა, მაგრამ შემდეგ, მოულოდნელად მისმა აზრმა მიმართულება შეიცვალა:

**„ბოლოს და ბოლოს, თქვენ მართალი ხართ! მე ვერ ვხედავ რაიმე დაბრკოლებას, თუ რატომ არ უნდა მოვაწეროთ ხელი ორმხრივ ხელშეკრულებას... მაგრამ აუცილებელია, რომ გააცნობიეროთ: რუსეთი უკიდურესად არის დაინტერესებული „პოლონეთის საკითხით“.**

**ჩვენ გვსურს, რომ პოლონეთი მეგობარი და მოკავშირე იყოს და თანაც აბსოლუტურად ანტიგერმანული.**

**სამწუხაროდ, ასეთი პოლონეთის არსებობა შეუძლებელია იმ მთავრობის პირობებში, რომელიც ახლა ლონდონში ზის და უკიდურესად უარყოფითი დამოკიდებულება აქვს რუსეთთან. აქედან გამომდინარე, თქვენ შეგიძლიათ ბევრად იოლად მოელაპარაკოთ მეორე პოლონეთს, რეალურს, დიდს, ძლიერს და დემოკრატიულს. თუ თქვენ ჩვენს თვალსაზრისს გაიზიარებთ, აღიარეთ საჯაროდ „ლიუბლინის კომიტეტი“ (პოლონეთის ეროვნული გათავისუფლების კომიტეტი) და მასთან ოფიციალური ურთიერთობები დაამყარეთ. ამით ძალიან გაიოლდება ჩვენი, რუსულ-ფრანგული ორმხრივი ხელშეკრულების დადება. გარდა ამისა, ყურადღება მიაქციეთ იმ გარემოებასაც, რომ ჩვენ, რუსებმა, უკვე ვაღიარეთ „ლიუბლინის კომიტეტი“ და რომ ის უკვე ხელისუფლების ორგანოა, პოლონეთის გათავისუფლებულ ტერიტორიებზე წესრიგს ამყარებს და ასე გააგრძელებს ჩვენი არმიის წინსვლის კვალობაზე. ამიტომაც თქვენ უნდა დაელაპარაკოთ ამ კომიტეტს ყველა იმ საკითხზე, რომლებიც თქვენთვის საინტერესოა, კერძოდ, სამხედრო ტყვეებსა და იმ ფრანგების ბედზე, რომლებიც გერმანელებმა უკან დახევისას დატოვეს პოლონეთის ტერიტორიაზე.**

**რაც შეეხება უინსტონ ჩერჩილს, მე მას დეპეშას გავუგზავნი და ჩემი სახელით ვეტყვი, რომ მისი წინადადება მიუღებელია. მას, რა თქმა უნდა, ეწყინება, მაგრამ არა უშავს, იმანაც საკმაოდ ბევრჯერ მაწყენინა“.**

ამ მომენტიდან ჩემთვის ყველაფერი ნათელი გახდა. მე ერთმნიშვნელოვნად განვუცხადე სტალინს, რომ საფრანგეთი მზად არის რუსეთთან უსაფრთხოების ხელშეკრულება გააფორმოს, პარიზს ასევე ნორმალური დამოკიდებულება ექნება „ლიუბლინის კომიტეტთანაც“, მაგრამ არ შეუძლია ის პოლონეთის მთავრობად აღიაროს და მასთან ოფიციალური ურთიერთობები დაამყაროს. პრაქტიკული საკითხები, რომლებიც ფრანგ სამხედრო ტყვეებს ეხება, შეიძლება თანდათანობით მოგვარდეს ჩვეულებრივი წარმომადგენლის მეშვეობით, რომელსაც ჩვენ ლიუბლინში გავგზავნით, დიპლომატიური სტატუსის გარეშე. **„საფრანგეთს და რუსეთს საერთო ინტერესები აქვთ, რომ დამოუკიდებელი პოლონეთი არსებობდეს – ერთიანი, ძლიერი და საერთაშორისო არენაზე რეალური წონის მქონე სახელმწიფო და არა რაღაც ხელოვნური წარმონაქმნი, რომლის მიმართ საფრანგეთს ნდობა არ ექნებოდა. ჩვენი აზრით, პოლონეთის მომავალი მთავრობის ბედი თვითონ პოლონელებმა უნდა გადაწყვიტონ ყველა ოთხი დიდი მოკავშირის თანხმობით“,** – ვთქვი მე.

იოსებ სტალინს არანაირი შენიშვნა არ გამოუთქვამს, მან მხოლოდ თავაზიანად მითხრა, რომ მოხარული იქნება მომდევნო დღეს შემხვდეს, სადილის დროს, რომელსაც იგი ჩვენს საპატივსაცემოდ გამართავს.



**სიმონ კილაძე.**

(გაგრძელება იქნება)



იოსებ სტალინი: უინსტონ ჩერჩილის წინადადება მიუღებელია. მას, რა თქმა უნდა, ეწყინება, მაგრამ არა უშავს, იმანაც საკმაოდ ბევრჯერ მაწყენინა.

# ელ მენჩო მოკლეს, ვინ იქნება შემდეგი?!

**მექსიკაში მასშტაბური სპეცოპერაცია ჩატარდა, რასაც ქვეყანაში, დიდი არეულობა მოჰყვა. მექსიკის არმიამ, ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი, ხალისკოს ახალი თაობის კარტელის ლიდერი, ნემესიო ოსეგერა სერვანტესი, მეტსახელად, ელ მენჩო მოკლეს.**

**59 წლის ყოფილი პოლიციელი, ელ მენჩო, უზარმაზარ კრიმინალურ ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში კოკაინის, მეტამ ფეტამინის და ფენტანილის მასშტაბურ გადაზიდვებზე იყო პასუხისმგებელი. ელ მენჩოზე ამერიკის მთავრობას ძებნა ჰქონდა გამოცხადებული და ინფორმაციისთვის, რომელსაც მისი დაკავება მოჰყვებოდა, 15 მილიონ დოლარიანი ჯილდო ჰქონდა დაწესებული.**




CJNG-El-Cartel-Jalisco-Nueva-Generaci n მექსიკის ერთ-ერთი ყველაზე საშიში კრიმინალური ორგანიზაციაა. მისი ლიდერის სიკვდილმა დიდი არეულობა გამოიწვია მექსიკის 20-მდე შტატში.

სპეცოპერაციას ხალისკოს შტატში მექსიკის ეროვნული გვარდიის 25-მდე წევრი ემსხვერპლა. გვარდიამ აიღო რამდენიმე აეროპორტი, დაიწვა სამგზავრო თვითმფრინავები, ქალაქებში დღესაც ქაოსია. არეულობა ადგილობრივ მოსახლეობასა და ტურისტებსაც შეეხო. უამრავი სკოლა და უნივერსიტეტი დაიხურა. ხელისუფლებამ მოსახლეობას სახლებში დარჩენა ურჩია. მე-20 საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან, როცა ცნობილი კოლუმბიური ნარკოკარტელები გაანადგურეს და, მათ გაქრობასთან ერთად, ამერიკაში ნარკოტიკების გადაზიდვის კარიბის მარშრუტი დაიხურა, სცენაზე აქტიურად გამოვიდა მექსიკური კარტელები, რომლებიც თავად აწარმოებენ და ასაღებენ ნარკოტიკებს. მექსიკის ნარკოკარტელები იმდენად გაძლიერდნენ, რომ ქვეყნის ზოგიერთ რეგიონში, სახელმწიფო ჩაანაცვლეს.

**მექსიკური კარტელები ჩვენი დროის სისტემური მოვლენაა, რომელიც ორ განზომილებაში არსებობს: როგორც გლობალური ბიზნეს-სტრუქტურა და როგორც ჩრდილოვანი მთავრობა, რაც მათ, პრაქტიკულად, ხელშეუხებელს ხდის. კარტელებმა ფაქტობრივად, მექსიკის ხელისუფლების ალტერნატიული სისტემა შექმნეს. მათ მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე, კარტელები ნარკოტიკების გასაღებასთან ერთად, თავიანთ მართლმსაჯულებას ახორციელებენ, ბიზნესმენებისგან რეგულარულ გადასახდებს აგროვებენ, გავლენას ახდენენ ადგილობრივი თვითმმართველობის საკადრო პოლიტიკაზე და საზოგადოებრივი ქცევის წესებს ადგენენ.**

დღეს კარტელები მექსიკის ტერიტორიის მესამედს აკონტროლებს. მათ სტრუქტურებში ორ-მილიონამდე ადამიანი მუშაობს. XXI საუკუნის დასაწყისში, მექსიკის ხელისუფლებამ კარტელების წინააღმდეგ ომი წამოიწყო, თუმცა, ჯერჯერობით, წარუმატებლად. ომი დღემდე გრძელდება. ძალადობამ არნახულ მასშტაბებს მიაღწია: კარტელების წევრები, უკვე, ღიად ებრძვიან სახელმწიფოს და, ტერიტორიების გაკონტროლების მიზნით, ერთმანეთსაც უფრო ინტენსიურად დაუპირისპირდნენ.

2006 წლიდან დღემდე, ამ მრავალმხრივ დაპირისპირებაში კარტელების 160 ათასამდე წევრი, ხუთი ათასამდე პოლიციელი და სამხედრო მოსამსახურე, და ათასობით მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა.

ოპერაცია მექსიკის პრეზიდენტის, კლაუდია შაინბაუმის მიერ, ვაშინგტონის ზეწოლის ქვეშ გადადგმული მნიშვნელოვანი დათმობა იყო. პრეზიდენტობის პირველივე დღიდან, ტრამპი მექსიკას მუდმივად ემუქრება ტარიფებითა და პირდაპირი სამხედრო ჩარევით. იგი მექსიკის მთავრობისგან ნარკო კარტელების წინააღმდეგ მოქმედებას ითხოვს. შაინბაუმი ეწინააღმდეგებოდა ტრამპს, მაგრამ, შეძლებისდაგვარად, მაინც მოქმედებდა: 2025 წელს, მექსიკამ ამერიკას კარტელის 26 წევრი გადასცა, და ახლა მისი მთავარი სამიზნე გაანეიტრალა. ჩატარებული სპეცოპერაციით თეთრი სახლი კმაყოფილია. ამერიკისა და მექსიკის მთავრობებმა განაცხადა, რომ ელ მენჩოს ადგილმდებარეობის დადგენა ამერიკის დაზვერვის დახმარებით მოხდა.

**ტრამპის ადმინისტრაციამ, ჯერ კიდევ, 2025 წლის დასაწყისში შექმნა კარტელებთან ბრძოლის საგანგებო სამსახური, რომელიც სატელიტების საშუალებით, კარტელების ბოსების ადგილმდებარეობას ადგენს, მაგრამ, როგორც ისტორია გვასწავლის, კარტელების ბოსების დაჭერა ან ლიკვიდაცია არ ასუსტებს ნარკომაფიას, კონფრონტაციას მხოლოდ ამძაფრებს. ექსპერტების უმრავლესობის აზრით, კარტელებთან ბრძოლა მხოლოდ მაშინ იქნება წარმატებული, როცა ეს სახელწიფო დონის სისტემური და ყოვლის მომცველი ბრძოლა იქნება. ალბათ, მართლაც ასეა!..**



**ნუგზარ ბ. რუხაძე,**
**POSTV**




## დონალდ ტრამპი ნავთობთან დაკავშირებულ გარკვეულ სანქციებს ფასების შესამცირებლად აუქმებს

**ჩვენ ვაუქმებთ ნავთობთან დაკავშირებულ გარკვეულ სანქციებს ფასების შესამცირებლად. ჩვენ დაწესებული გვაქვს სანქციები ზოგიერთ ქვეყანაზე. ვაპირებთ ამ სანქციების მოხსნას,** – ამის შესახებ აშშ-ის პრეზიდენტმა, **დონალდ ტრამპმა** განაცხადა.

ტრამპის თქმით, აშშ-ს აქვს ძალიან ბევრი ნავთობი.

**„ჩვენ გვაქვს უზარმაზარი რაოდენობით ნავთობი და გაზი, გაცილებით მეტი, ვიდრე გვჭირდება. ვენესუელა ახლა ჩვენი ახალი პარტნიორია, შესანიშნავი პარტნიორი. ეს ძალიან შესანიშნავად გამოვიდა. ჩვენ ვთანამშრომლობთ ადმინისტრაციასთან, პრეზიდენტთან და ეს არის ნავთობის, გაზის, ყველაფრის უზარმაზარი წყარო. ჩვენ ძალიან კარგ მდგომარეობაში ვართ, მაგრამ ძალიან უსამართლოა მსოფლიოს სხვა ნაწილების მიმართ, მაგალითად, ჩინეთის მიმართ.**

**ვგულისხმობ, რომ ჩვენ ამას ვაკეთებთ მსოფლიოს სხვა ნაწილებისთვის, მათ შორის ისეთი ქვეყნებისთვის, როგორიცაა ჩინეთი. ისინი ნავთობის დიდ ნაწილს ამ სრუტის მეშვეობით იღებენ. ასე რომ, ჩვენ ამას ვაკეთებთ. ჩვენ ძალიან კარგი ურთიერთობა გვაქვს პრეზიდენტ სი ძინპინთან. მე იქ მალე მივდივარ. ჩვენ ვიცავთ მსოფლიოს იმისგან, რასაც ეს შეშლილები ცდილობენ. ჩვენ ასევე ვაუქმებთ ნავთობთან დაკავშირებულ გარკვეულ სანქციებს ფასების შესამცირებლად. ჩვენ გვაქვს სანქციები დაწესებული ზოგიერთ ქვეყანაზე. ჩვენ ვაპირებთ ამ სანქციების მოხსნას, ვიდრე ეს არ გამოსწორდება. იმედია, მშვიდობა იქნება“!**

## პიტერ სიიარტო: ევროკავშირმა დაუყოვნებლივ უნდა მოხსნას სანქციები რუსეთიდან იმპორტირებულ ნავთობსა და გაზზე!



**უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრი პიტერ სიიარტო ევროკავშირს მოუწოდებს, რუსეთის ნავთობზე დაწესებული სანქციები მოხსნას,** – ამის შესახებ პიტერ სიიარტომ სოციალურ ქსელში დაწერა.

სიიარტო აღნიშნავს, რომ ახლო აღმოსავლეთში ვითარების ესკალაციისა და ჰორმუზის სრუტის დახურვის შემდეგ მსოფლიოში ენერგომომარაგება საფრთხის ქვეშაა.

**„ევროპა განსაკუთრებით დაუცველია, რადგან ევროკავშირმა უკვე აკრძალა რუსული ენერგორესურსების იმპორტი. ახლა ახლო აღმოსავლეთში კონფლიქტი გლობალურ მიწოდებასაც ამცირებს. მიწოდება როდესაც მცირდება, ფასები იზრდება. შესაბამისად, ევროპა ფასების მკვეთრი ზრდის რისკის წინაშე დგას“**, – წერს **სიიარტო.**

მისი თქმით, ევროპა სანქციებს თუ არ მოხსნის, მაშინ ეს სერიოზულ ზიანს მიაყენებს ევროპასა და ევროპელ ხალხს.

**„ფოკუსი უნდა იყოს არა იდეოლოგიის, არამედ ევროპელების ინტერესების დაცვა“!**

## CNN: ირანში ომი საფრთხეს უქმნის სურსათის წარმოებას!

**ირანში მიმდინარე ომს შესაძლოა სავალალო შედეგები მოჰყვეს სურსათის წარმოებისთვის მთელ მსოფლიოში, ვინაიდან ახლო აღმოსავლეთში განთავსებულია სასუქების რამდენიმე უმსხვილესი ქარხანა, ამასთანავე, რეგიონი წარმოადგენს სასუქის დასამზადებლად საჭირო ნედლეულის ძირითად წყაროს,** – წერს CNN-ი.

ამერიკული ფინანსური სერვისების კომპანია Morningstar-ის მონაცემებით, ამ ნედლეულის გლობალური ვაჭრობის დაახლოებით 25-35% ჰორმუზის სრუტეზე გადის, რომელიც, ფაქტობრივად, ჩაკეტილია გემებისთვის.

ირანი ასევე შარდოვანას – ფართოდ გამოყენებადი სასუქი – მეოთხე უმსხვილესი ექსპორტიორია მსოფლიოში რუსეთის, ეგვიპტისა და საუდის არაბეთის შემდეგ. ამასთან, სრუტის ჩაკეტვა საუდის არაბეთის ექსპორტზეც ახდენს გავლენას. მონაცემთა მომწოდებელი კომპანიის, CRU Group-ის თანახმად, ირანის კონფლიქტის დაწყების შემდეგ ეგვიპტური შარდოვანას ფასები, რომელიც ინდუსტრიის ეტალონად ითვლება, მესამედზე მეტით გაიზარდა. ასევე მკვეთრად მოიმატა გოგირდის ფასებმაც, რომელიც სასუქის წარმოებაში გამოიყენება. CRU Group-ის განცხადებით, გოგირდის გლობალური ექსპორტის თითქმის ნახევარი ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებზე მოდის.

რეგიონში ენერგეტიკულ ინფრასტრუქტურაზე თავდასხმებმა, რის გამოც კატარის უმსხვილესმა მწარმოებელმა უკვე შეამცირა სასუქისა და მისი შემადგენელი კომპონენტების წარმოებისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანი ბუნებრივი აირის მოპოვება, შესაძლოა მიწოდება კიდევ უფრო შეაფერხოს.

**„ჰორმუზის სრუტეს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სურსათის გლობალური წარმოებისთვის. სასუქები არ არის უბრალოდ კიდევ ერთი საქონელი – გლობალური სურსათის წარმოების თითქმის ნახევარი სწორედ მათზეა დამოკიდებული“**, – განუცხადა გასულ კვირას CNN-ს ნორვეგიული ქიმიური კომპანია Yara International-ის აღმასრულებელმა დირექტორმა, **სვეინ ტორე ჰოლსეთერმა.**



სიტყვის ძალა

№29. ოთხშაბათი, 11 მარტი, 2026 წელი



**როგორც მოგეხსენებათ,** კონსტანტინე გამსახურდიას „მთვარის მოტაცება" დაიწერა 1933–1934 წლებში და ამავდროულად დაიბეჭდა „მნათობის" ფურცლებზე.

ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხია" დაიბეჭდა ჟურნალ „ცისკარში" 1972 (I წიგნი) და 1974 (II წიგნი) წლებში.

ალბათ იწერებოდა კარგა ხანს, რადგან რამდენიმე წელს „ცისკარი" აანონსებდა, რომ ახალი წლიდან დაიწყებდნენ ამ რომანის ბეჭდვას. მაგრამ წიგნი არ სჩანდა, რომელსაც უკვე ინტერესით მოველოდით.

ორივე რომანს დიდი წარმატება ხვდა წილად.

მათ შორის ინტერვალი 40 წელია.

განსაკუთრებით პოპულარული გახდა ტელესერიალი „დათა თუთაშხია", რასაც ვერ ვიტყვით „მთვარის მოტაცების" ეკრანიზაციაზე.

საინტერესოა, რომ ერთგან ოთარ მეღვინეთუხუცესი არზაყანია, მეორეგან კი — დათა.

კონსტანტინე გამსახურდია წერდა სასტიკი ბოლშევიზმის ეპოქაში, მწვავე თანამედროვეობის თემაზე, თავისივე „დისტანციის თეორიის საპირისპიროდ.

ჭაბუა ამირეჯიბის პერიოდში შემოქმედი მეტ-ნაკლებად თავისუფალი იყო. მაინც რომანის სამოქმედო გარემოდ ცარიზმის პერიოდია შერჩეული.

კონსტანტინეს აკონტროლებდა, რომანის პუბლიკაციას და პროპაგანდას განსაზღვრავდა, მიმართულებას აძლევდა ლავრენტი ბერია, რომელსაც მოსწონდა ეს წიგნი.

ჭაბუასაც აკონტროლებდა ხელისუფლება და ხელს უწყობდა რომანის პროპაგანდას. ჟურნალის რედაქტორი ჟანსუღ ჩარკვიანი დაბეჭდვამდე წიგნს აცნობდა ცეკას.

ორივე ავტორს რთული ბიოგრაფია ჰქონდა (ციხე, დევნა, გადასახლება), არცერთი არ ყოფილა კომპარტიის წევრი.

მიუხედავად ამისა, ერთის მხარდამჭერი იყო ლ. ბერია, მეორისა — ედ. შევარდნაძე.

ამ ორ რომანს აქვს საერთო არქეტიპული მოდელები, რომელთა ორიგინალური გააზრება ქმნის მათ სიღრმისეულ მსგავსებასა და განსხვავებას, ძირითად მხატვრულ სტრუქტურას.

# „მთვარის მოტაცება" და „დათა თუთაშხია"

## მთვარის კულტი

**ორივე რომანი უკავშირდება მთვარეს. პირველში ეს არის ნაციონალურ-პოლიტიკური სიმბოლო. როგორც ვიცით, ივანე ჯავახიშვილის კონცეფციით, ქართველურ ტომებში მთავარი ღმერთი იყო მთვარე, რომლის ადგილი ქრისტიანულ ეპოქაში დაიკავა წმ. გიორგიმ.**

წმ. გიორგი იყო გამოსახული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გერბზე, ფეოდალური საქართველოს დროშებზე, მის სახელზე აშენდა უამრავი ტაძარი.

თარაში და მამამისი გენერალი ჯანსუღ ემხვარი 1921 წელს ევროპას შეეფარნენ. ბოლშევიკურმა ჟამმა ისინი ემიგრანტებად აქცია. თარაშის ოცნებაა თავისუფალი, წარმართული, ბერძნული ესთეტიზმის თანაზიარი საქართველო, რომლის ემბლემაა მთვარე. იგი ემხვარს წაართვა მძვინვარე ენგურმა, რომელიც ერთი მხრივ – რევოლუციაა, მეორე მხრივ – აქერონტი. დაკარგა ორიენტირი და ენგურმა გაიტაცა.

მთვარის სიმბოლიკა ოცნების სფეროა და არა რეალობისა.

მთვარეს მეგრულად „თუთა" ჰქვია. ძველქართულ, მეგრულ-ჭანურ და სვანურ კალენდრებში ორშაბათს მთვარის დღე ეწოდება, რაც იწვევს რომანის პერსონაჟების რიდს, შიშსა და კრძალვას.

მეორე რომანში „თუთაშხა" გამოყენებულია როგორც მითი, რომელიც მთავარი პერსონაჟის გვარია. იგი არსებულა ძველ სამეგრელოში. ეს გვარი 1621 წლის დოკუმენტში არაერთხელ არის ფიქსირებული, თუმცა შემდეგ დავიწყებას მიეცა.

ჭაბუამ აღადგინა გამქრალი გვარი „თუთაშხია" და დათას ცხოვრების ლეგენდა უძველეს ღვთაება თუთა-მთვარეს დაუკავშირა, რათა ამ გმირის უჩვეულო ზნეობრივი მისია კიდევ უფრო ნათელი ყოფილიყო, როგორც „სული კრებითი", „ხორცქმნილი", თეთრ ჰუნეზე ამხედრებული. წიგნის ოთხივე კარს უძღვის შესაბამისი სიმბოლური ეპიგრაფები.

რადგან მთვარის ადგილი ქართველთა წარმოდგენაში წმ. გიორგის დაუკავშირდა, ბუნებრივია, რომ თუთაშხია არის ურჩხულმებრძოლი წმ. გიორგი, ისევე როგორც ერთ-ერთ ასპექტში თარაშ ემხვარი.

კ. გამსახურდიას რომანში ჭარბადაა წარმოდგენილი ისტორიული ფაქტები და რეალიები. ჭ. ამერიჯიბი კი იფარგლება სტილიზებული, არქაიზებული ეპიგრაფებით.

## ძმათა შუღლის დინამიკა

**ორივე რომანის სიუჟეტურ-აზრობრივი საფუძველია აბელისა და კაენის ბიბლიური მოდელი, ძმათა შუღლი, მტრობა-სიყვარული და მუდმივი დაპირისპირება, რაც მთავრდება კაენის ანუ გოროტი ძალის გამარჯვებით.**

თარაშ ემხვარი და არზაყან ზვამბაია ძიძიშვილები არიან – დედის ძუძუსთან წაკიდებულნი. მათი მტრობა-სიყვარულის მოტივი მთელს რომანს აძლევს ძალას და იდეას.

ერთი თავადია, მეორე – გლეხი, ერთი ემიგრანტია და თავისუფალი საქართველოსთვის დევნილი, მეორე – ბოლშევიკი, რუსულ-საბჭოთა ხელისუფლების ერთგული, ჩეკისტი. ერთი მოდის ისტორიის სიღრმიდან, დასავლური კულტურიდან, მეორის ისტორია ახლა იწყება. ერთი ჰომპსონის კოსტიუმს და მელონის ქუდს ატარებს, მეორე – გიმნასტურასა და ნაგანს.

ისინი იბრძვიან ერთი ქალისათვის. ეს არის ჯერ თამარ შარვაშიძე, მათი კლასელი, თავადისა და მღვდლის ასული. შემდეგ – ლამარია ლაფარიანი, სვანი გლეხის ქალი.

სიკვდილის გზაზე თარაშს ცხენს – არაბიას შეუკაზმავს არზაყანი.

ასეთივე ურთიერთდაპირისპირება ერთგვარი კატა-თაგვობიას მსგავსი თამაში, მტრობა და სიყვარული აქვთ ერთმანეთისადმი დათა თუთაშხიასა და მუშნი ზარანდიას. ისინი ბიძაშვილ-მამიდაშვილები არიან. ტრადიციული ადათწესების მიმდევარნი, ზოგჯერ „ძმებადაც" იწოდებიან.

## არქეტიპული მოდელები



ერთი აბრაგია, მეორე – ჟანდარმი. ერთი თავისუფლებას ეტრფის, მეორე – იმპერიის ინტერესების დამცველია. პირველი დამორჩილებას ცდილობს მეორეს იდეალია რუსული კანონები, ჟანდარმის ეპოლეტები და პეტერბურგი, წესრიგი და დისციპლინა.

სიკვდილი დათას მუშნიმ განუმზადა შვილის – გუდუნას ხელით. აქაც აბელი (სიკეთე) მარცხდება კაენთან ჭიდილში.

კაენი ორივეგან რუსულ ხელისუფლებას განასახიერებს, ჟანდარმულ-ჩეკისტურ ძალას, რომელიც თრგუნავს ნაციონალურ ბუნებას.

ორივე რომანის მთავარი პერსონაჟები განსაკუთრებული ბუნების, ნებელობის, მრწამსისა და მისიის მატარებელნი არიან.

## მამისმკვლელობა

**მოგეხსენებათ, არქაულ ტომებში არსებობდა მამის (ბელადის, მეფის, ღმერთის) მკვლელობის წესი, რასაც XX საუკუნეში მიეცა ფსიქოანალიზური ახსნა და ფართოდ გავრცელდა ზ. ფროიდის „ტოტემი და ტაბუს" შემდეგ.**

ამ ტრადიციის გამოხატულებაა სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე".

კონსტანტინე გამსახურდია, განსხვავებით გრიგოლ რობაქიძისაგან, სარგებლობდა ფსიქოანალიზური ინტერპრეტაციით, რაც „მთვარის მოტაცებაში" მძაფრ სოციალურ მოვლენათა საჩვენებლად იქნა გამოყენებული:

ჩეკისტი და ბოლშევიკი არზაყანი კლავს მამას – კაც ზვამბაიას, რომელიც ძველი სამყაროს, ქრისტიანულ-წარმართული დროის სიმბოლოა. მთელ რომანს, თავიდან ბოლომდე გასდევს მამა-შვილის მტრობა – სიყვარულის მოტივი, ამბივალენტური ურთიერთმიმართება.

ეს უძველესი ტრადიცია ცოცხლდება „დათა თუთაშხიაშიც", ოღონდ წმინდა ადამიანურ ასპექტში ყოფით დონეზე:

ყმაწვილი გუდუნა პერტია დედის გამო ჰკლავს თავის ბიოლოგიურ მამას – დათა თუთაშხიას, ჰკლავს მუშნი ზარანდიას აგენტების წაქეზებით. მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ თავად ეს მამა არის თეთრცხენოსანი „სული კრებითი". გახსოვთ, ერთ დროს გავრცელდა ჭორი, რომ თითქოს ჭაბუა ამერიჯიბმა სხვისი ხელნაწერები მიითვისა, რასაც საფუძველს აძლევდა თავად მწერლის ნათქვამი, რომ მან იპოვა გრაფი სეგედის ჩანაწერები, დაალაგა და მისცა წიგნის სახე – მხატვრული პირობითობა რეალობად მიიჩნიეს.

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ალექსანდრე კალანდაძის მოგონება, რომელსაც ეჯავრებოდა ჭაბუა და არც ეს რომანი მოსწონდა. იგი მჯდარა ჭაბუასთან ერთად ორთაჭალის ციხეში, როცა შემოუგდიათ 15 წლის მამისმკვლელი გურული ბიჭი. ის პატიმრებს რამდენიმე დღეში მოუკლავთ.

აი, ეს შეიძლება გამოეყენებინაო, – ამბობდა მწერალი და მეცნიერი ალექსანდრე კალანდაძე.

მაგრამ ამ ფაქტის არსებობის გარეშეც მითოლოგიური „გმირების" შუღლის



არზაყან ზვამბაია და თარაშ ემხვარი

ოთარ მეღვინეთუხუცესი, გეიდარ ფალავანდიშვილი



დათა თუთაშხია და მუშნი ზარანდია

ორთარ მეღვინეთუხუცესი, თენგიზ არჩვაძე







მოტივი ერთი მათგანის მეორის მიერ სიკვდილით უნდა დასრულებულიყო და ეს უნდა მომხდარიყო „შვილის“ ხელით.

## სივრცე — დროის ლოკალი

**როგორც ვთქვით, „მთვარის მოტაცებაში“ ასახულია აფხაზურ-მეგრული გარემო, ეპიზოდურად — ევროპა, ტფილისი და სვანეთი. მთავარი პერსონაჟები არიან აფხაზები — თარაშ ემხვარი, არზაყან ზვამბაია, კაც ზვამბაია, თამარ შარვაშიძე, ტარიელ შარვაშიძე, რომელთაც ასევე კარგად იციან მეგრული. ყველა მათგანს კი აერთიანებს ქართული ენა და საქართველოს ისტორია, ქრისტიანულ-წარმართული ადათ-წესები.**

თამარი და თარაში თავადიშვილები არიან, არზაყანი — გლეხი. მათ თიშავს არა ეროვნული წარმომავლობა, არამედ — ბოლშევიკური იდეოლოგია, ახალი ცხოვრების წესი, ქართლის მომავლისა და დღევანდელობის გააზრება.

ისინი სამურზაყანოში ცხოვრობენ, კერძოდ — ოქუმში.

კ. გამსახურდიას ზებია ჰყავდა აფხაზი — ჯარამხან მაანი. ესეც ხელს უწყობდა, რათა გადმოეცა მეგრულ-აფხაზური ადათ-წესები.

„დათა თუთაშხიაშიც“ სამეგრელო-აფხაზეთის (სამურზაყანოს) ყოფაა ასახული, ეპიზოდურად ქართლი, ტფილისი, ციხე, სვანეთი. მოქმედება წარსულშია გადატანილი, ცარიზმის ეპოქაში, იწყება 1884 წლიდან, რათა ავტორს შესძლებოდა, საბჭოთა ეპოქის სატანური არსი ისტორიის სარკეში დაენახა. ამიტომ შეუნაცვლა ჩეკას — ჟანდარმერია, ჩეკისტს — ჟანდარმი, მოსკოვს — პეტერბურგი, ხოლო აბრაგი წარმოისახა როგორც ზნეობრივი გმირი, რომელიც არის არა ყაჩაღი და მოძალადე, არამედ სამართლისა და თავისუფლებისთვის მებრძოლი.

დათა და ელე აღიზარდნენ მუშნის დედმამის ოჯახში. ბიძაშვილ-მამიდაშვილმა, მიუხედავად დაპირისპირებისა, ჟანდარმული ხლართებისა და ინტრიგებისა, შეინარჩუნეს ურთიერთპატივისცემა, გარკვეული ურთიერთნდობაც კი.

ასეთივე დარჩნენ ერთმანეთის მიმართ თარაში და არზაყანი.

ორივე რომანი ნოველისტურ პრინციპზეა აგებული. მაგრამ „დათა თუთაშხიაში“ კომპოზიციური კავშირი და განვითარების ლოგიკა ნაკლებად იგრძნობა — შეიძლება ზოგი ნოველა ამოაგდო კიდეც, მიუხედავად დეტექტური ნაკადის სიჭარბისა.

„მთვარის მოტაცების“ ძირითადი სამოქმედო დრო ერთი წელია — 1931 წლის აპრილიდან 1932 წლის აპრილამდე. „დათა თუთაშხიაში“ გაწელილია და ათეულ წლობით გრძელდება.

თარაშ ემხვარი წყალს უერთდება, ისევე როგორც დათა თუთაშხია.

ორივე რომანში ფიგურირებს ენგური და შავი ზღვა. მაგ. „დათა თუთაშხიაში“ აშკარაა ტოპონიმების სიმცირე, გვარ-სახელთა სიუხვე.

ორივეგან პერსონაჟების განუყრელი მეგზურია ცხენი (შდრ. არზაყან ზვამბაიას არაბიას პატრონი შემოაკვდა ჩიპირშის მთებში, დათა თუთაშხიას ბალყარელი აბრაგის ნაჩუქარი ლურჯა გადმოჰყავს მუშნისათვის).

## გვარ-სახელების კოლორიტი

**გვარ-სახელების მიხედვით ეს ორი რომანი ერთმანეთისაგან განსხვავებულია, თუმცა ერთი სიღრმისეული საწყისი აქვთ — კოლხეთის ისტორია. ჭაბუა ამირეჯიბი არ იმეორებს კონსტანტინე გამსახურდიას ონომასტიკას — შდრ. — გრაფი სეგედი, დათა თუთაშხია, გეჩუნი, გუდუნა, მუშნი ზარანდია, რაჟა სარჩიმელია, კაზა ჩხეტია, კაჯა გულავა, თიყვა ძაძუა, ყვაყვა, ცაგუ, კიკუ, ტოფანა, არზნევ მუსკია, ნიკანდრო ქილია, ტოჩი მიქაშავრია, გუძა ჯონჯოლია, ტატაშ ჩანბა, ასთიონა, გონია, გოდღო ყვალთავა...**

„მთვარის მოტაცების“ გვარ-სახელებიც ვახსენოთ — თარაშ ემხვარი, ერამხუტ ემხვარი, თამარ შარვაშიძე, ტარიელ შარვაშიძე, არზაყან ზვამბაია, კაც ზვამბაია, ლომკაც ესვანჯია, ლუკაია ლაბახუა, ძაბული, ლამარია ლაფარიანი, ელლენ რონსერ, ჯოკია, გვანჯ აფაქიძე, ჯარამხანი, ტარბეები, კაროლინა...

გვხვდება ზოგი საერთოც — მაგ., ქუჯი, ანჩაბაძე...

ჭაბუა ამერიჯიბის ონომასტიკა მაქსიმალურად ორიგინალურია. ამ გვარ-სახელების პერსონაჟები მხოლოდ მის სამყაროში მოსახლეობენ. ასეთივეა კონსტანტინე გამსახურდიას გმირები, რომლებიც ისტორიის სიღრმიდან მოდიან.

თუ ერთგან რომანულ ფათერაკებს, ქალებთან მიმართების დიდი ადგილი უკავია, მეორეგან მინიმუმამდე დადის: დათას ურთიერთობა აქვს მხოლოდ გათხოვილ ქალთან, ბეჩუნისთან, რომელთანაც შეეძინება ვაჟი — გუდუნა. იგი არ ატარებს ნამდვილი მამის გვარს. მაგრამ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ დათას გააბრაგება დაუკავშირდა მის დას — ელეს, ხოლო დაღუპვა — საყვარელთან გაჩენილ შვილს.

ამდენად — ქალს ორივეგან ბედისწერის ფუნქცია აკისრია: სწორედ თამარ შარვაშიძის გამო დაიღუპა თარაში.

* * *

**არ ვიცი, რამდენად იცნობდა ჭაბუა ამირეჯიბი მეგრულ გარემოს, ენას, ტოპონიმებს, გვარ-სახელებს, მითოლოგიურ მოტივებს, მაგრამ ეს ყოველივე წიგნში კარგად არის რეალიზებული, რეალისტური სიზუსტითა და თანმიმდევრული ახსნით, ყოფითი მეტყველებით, ეფექტური დიალოგებით.**

**კონსტანტინე გამსახურდია კი წერდა შთაგონებით, პათეტიკური სტილით, ლირიკული მღელვარებით. მაგრამ ამავდროულად მთელი პრობლემატიკა, მოტივები, სიმბოლური სტრუქტურა გაცნობიერებული ჰქონდა.**



**სოსო სიგუა,**
15 თებერვალი, 2026 წელი

# საპატიო მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე

**90 წელი შეუსრულდა ღირსებით სავსე მამულიშვილს, ცნობილ სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეს, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს ბატონ ნოდარ ჭითანავას, რომლის მთელი ცხოვრება და მოღვაწეობა სამშობლოს უანგარო მსახურების, პატრიოტიზმისა და ჰუმანიზმის ნამდვილი მაგალითია.**



ბატონი ნოდარით ყოველთვის იამაყებს მშობლიური ერი. იგი ქართველი კაცის საუკეთესო განსახიერებაა. მისი ცხოვრების გზა ყოველთვის არ იყო ვარდებით მოფენილი, მაგრამ ყველა სიტუაციაში ის გამოდიოდა და გამოდის გამარჯვებული, არა კომპრომისებისა და დათმობის ხარჯზე, არამედ საქმისადმი უსაზღვრო სიყვარულის, თავდადებული შრომისა და რწმენის მეშვეობით.

ბატონი ნოდარ ჭითანავა დაიბადა 1936 წლის 10 მარტს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭკადუაში. საშუალო სკოლის და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა მშობლიურ სოფელში, რაიონულ ახალგაზრდულ ორგანიზაციაში, სახელმწიფო მმართველობაში საქართველოს მასშტაბით. ამჟამად აქტიურად ეწევა სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას.

ბატონი ნოდარი უშურველად გადასცემს თავის ცოდნას და გამოცდილებას დარგის სპეციალისტებს, კოლეგებს, სტუდენტ-ახალგაზრდობას, მუდმივად საზოგადოების გარემოცვაშია, მასთან შეხვედრები წარუშლელ შთაბეჭდილებებს ტოვებს, იგი დეტალურად ხსნის საკუთარ მოსაზრებას, აქვს სხვისი მოსმენის უნიკალური უნარი, მასთან ურთიერთობა არის მუდმივი სწავლების მაგალითი.

ნოდარ ჭითანავამ 90-იანი წლების დასაწყისიდან დღემდე, ყველაზე არსებით მოვლენებსა და გადაწყვეტილებებზე სრულიად ორიგინალური მოსაზრებები შემოგვთავაზა. იგი ნოვატორი მეცნიერია, ქვეყნის ბედსა და მომავალზე დაფიქრებული მამულიშვილი. მისი ყველა მოსაზრება გამყარებულია სხვადასხვა პერიოდში ჩატარებული კვლევების შედეგებით.

ბატონი ნოდარი, როგორც საზოგადო მოღვაწე და მეცნიერი, უაღრესად პოპულარული პიროვნებაა, უღალატო ადამიანი, ბუნებისგან უხვად დაჯილდოვებული დიდსულოვნებით, კეთილშობილებით, გულმოწყალებით და შინაგანი კულტურით. მის პიროვნებაში ჰარმონიულად არის შერწყმული თეორიული აზროვნებისა და სამეურნეო პრაქტიკის გარდაქმნისთვის მუდმივი მზადყოფნის უნარი. იგი შემკულია ქართველი კაცისთვის დამახასიათებელი საუკეთესო თვისებებით, მეგობრების, კოლეგების და ახლობლებისადმი თავდადებით, თანამოძმეთა სიყვარულით. იგი გახლავთ ჩვენი ინტელიგენციის ღირსეული წარმომადგენელი, გამოირჩევა მაღალი პროფესიონალიზმით, შრომისმოყვარეობით და საქმისადმი ერთგულებით, რითაც საზოგადოებაში პატივისცემას იმსახურებს. ის არასოდეს რჩება მოვლენების პასიურ დამკვირვებლად და მუდამ მოვლენების განვითარების ცენტრში ტრიალებს.

ღმერთმა ჯანმრთელად, სიკეთითა და სიყვარულით ატაროს ცხოვრების დარჩენილ დროში, მრავალი ბედნიერი, საზეიმო, ღირსშესანიშნავი, სასიხარულო დღეები ჰქონოდეს თავის ბრწყინვალე ოჯახთან, ახლობლებთან და მეგობრებთან ერთად.

**გფარავდეთ უფალი ყველგან და ყველაფერში, ჭეშმარიტო მამულიშვილო!**

**საზოგადოება „ზუგდიდელი“**

# ვიქტორ რცხილაძე 85 წლისაა



**10 მარტს 85 წელი შეუსრულდა გამოჩენილ ქართველ მოაზროვნეს, რელიგიათა მცოდნეს, პუბლიცისტს, თეოლოგიისა და ფილოსოფიის სპეციალისტს, მთარგმნელს, მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს ვიქტორ გიორგის ძე რცხილაძეს.**

დიდია ვიქტორ რცხილაძის ღვაწლი უცხოური რელიგიურ-ფილოსოფიური ლიტერატურის კვლევასა და პოპულარიზაციაში, კლასიკური და თანამედროვე გერმანული ფილოსოფიური ნაწარმოებების თარგმნაში, ჩვენი ქვეყნის უახლესი ისტორიის მხატვრულ გააზრებაში.

რომელი ერთი საეტაპო ნაშრომი უნდა დავასახელოთ, საკმარისია მკითხველს შევახსენოთ, რომ ვიქტორ რცხილაძე არის პიროვნება, რომელმაც, უკვე 80 წელს მიტანებულმა, თარგმნა ჰეგელის მთავარი ნაშრომი — „ლექციები რელიგიის ფილოსოფიაზე“. გოეთეს ინსტიტუტის სპეციალისტების შეფასებით, ეს არის უაღრესად ზუსტი მეცნიერული თარგმანი, რომელიც თამამად შეიძლება გამოიყენოს ქართველმა მკითხველმა. ძნელია ამაზე დიდი ფილოსოფიური საჩუქრის წარმოდგენა ქართული ინტელექტუალური საზოგადოებისთვის.

ვიქტორ რცხილაძის საქმიანობა თავისი არსით მამულიშვილურია როგორც აკადემიურ, ისე პოლიტიკურ სფეროში. მან საკუთარი თავისუფლება შეიზღუდა სამშობლოს თავისუფლების სახელით, აიტანა პატიმრობა და სიდუხჭირე, თუმცა არც შემდეგ, დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში ჰქონია ჯეროვანი დაფასება ოფიციოზის მხრიდან. სამაგიეროდ, კოლეგებს, მკითხველებსა და მოწინავე საზოგადოებაში, ვიქტორ რცხილაძე მუდამ დიდი პატივისცემით სარგებლობდა და სარგებლობს.

**გვიხარია და გვეამაყება, რომ ბატონი ვიქტორი ჩვენი გაზეთის ერთ-ერთი აქტიური თანამდგომი და ავტორთაგანია.**

**„საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია გულწრფელად ულოცავს ბატონ ვიქტორს დაბადების დღეს, უსურვებს მას ჯანმრთელობასა და შემდგომ სამეცნიერო მიღწევებს!**



# ღირსეული სპორტსმენი საქართველოს სიამაყეა!

**საქართველოს პრეზიდენტმა, მიხეილ ყაველაშვილმა საქართველოს პრემიერ-მინისტრისა და პარლამენტის თავმჯდომარის წარდგინებით საქართველოს ფიგურულ მოციგურავეთა ეროვნული ნაკრების წევრები და საქართველოს ფიგურული ციგურაობის ფედერაციის წარმომადგენლები ღირსების ორდენით დააჯილდოვა.**

პრეზიდენტის სასახლეში გამართულ ღონისძიებას საქართველოს პირველი **ლედი თამარ ბაგრატიონი**, პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**, პარლამენტის თავმჯდომარე **შალვა პაპუაშვილი**, სპორტის მინისტრი **შალვა გოგოლაძე** და სპორტის სფეროს წარმომადგენლები დაესწრნენ. როგორც მიხეილ ყაველაშვილმა სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, საამაყოა, რომ ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე დიდ ქვეყნებს შორის წარმოდგენილი იყო პატარა, მაგრამ ღირსეული საქართველო.

საქართველოს სახელმწიფოს აღმშენებლობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისა და ისტორიული სპორტული მიღწევისათვის ღირსების ორდენით დაჯილდოვდნენ: საქართველოს ფიგურულ მოციგურავეთა ეროვნული ნაკრების წევრები: **ლუკა ბერულავა, ანასტასია მეტელკინა, ანასტასია გუბანოვა, ნიკა ეგაძე; ლუკა ბერულავასა და ანასტასია მეტელკინას** პირადი მწვრთნელი **პაველ სლიუსარენკო, ნიკა ეგაძის** პირადი მწვრთნელი **ეთერ თუთბერიძე,** ა(ა)იპ – საქართველოს ფიგურული ციგურაობის ფედერაციის პრეზიდენტი **მარიამ გიორგობიანი,** ააიპ – საქართველოს ფიგურული ციგურაობის ფედერაციის წევრი, ფიგურულ ციგურაობაში საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი **სალომე ჩიგოგიძე.**

# ოქრო-ვერცხლი და... ანტრაქტი



**სამდღიანი უმედლო გვალვის შემდეგ ქართული ფინალით დავასრულეთ ქალაქ ლინცში გამართული ძიუდოისტთა ზემო ავსტრიის გრან პრი.**

ეს 90 კილოში მოხდა, სადაც 3-გზის მსოფლიოს ჩემპიონმა **ტატო გრიგალაშვილმა** ბრიტანელ, ჩეხ, ესპანელ და ბრაზილიელ მეტოქეთა დაჩოქების შემდეგ სატიტულო ბრძოლა იპონით მოუგო უნიჭიერეს თანამემამულეს, გერმანელ, იტალიელ, ისრაელელ, ფრანგ ოპონენტთა მძლეველ **ლუკა ჯავახიშვილს** და ნამუსი მოგვწმინდა. სულ ტატამიზე 9 ჯვაროსანი ვიხილეთ, მაგრამ შარშანდელ შედეგს – დელეგაციის 11 წევრის მიერ მოპოვებულ 2 ოქროსა (გიორგი ჯაბნიაშვილი და გურამ თუშიშვილი) და 1 ბრინჯაოს (ტატო გრიგალაშვილი) ამჯერად ვერ შევწვდით. **რაც შეეხება უახლოეს ტურნირს, 20-22 მარტს თბილისის გრანდ სლემს ვუმასპინძლებთ, რომელშიც უკვე დარეგისტრირდა 56 ქვეყნის 458 წარმომადგენელი, მათ შორის ჩვენი 28 კაცი და 13 ქალი, თუმცა მოახლოებული ევროპის ჩემპიონატის წინ მწვრთნელები გუნდის ლიდერებს რატომღაც ასვენებენ!**




# ბრინჯაოს საპატიოდ

**დაიწყო ევროპის 23-წლამდელთა ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში, სადაც ხუთი ქართველი გამოვიდა და ხუთივე ბრინჯაოს მედლის შანსს ინარჩუნებს.**

**ნიკოლოზ ბოჭორიშვილმა** (57 კგ) ორი შეხვედრა მოიგო და ნახევარფინალში დამარცხდა, მაგრამ ბრინჯაოს მედლისთვის რასულ გალბურაევს გაეჯიბრება.

**გიორგი გოგრიჭიანიც** (79 კგ) ნახევარფინალში იყო, თუმცა, ფინალში გასვლა ვერც მან შეძლო. შესაბამისად, ბრინჯაოსთვის იბრძოლებს და საამისოდ ერთი მოგება დასჭირდება.

**კონსტანტინე პეტრიაშვილიც** (97 კგ) ნახევარფინალში გავიდა, თუმცა იქ რუს მეტოქესთან წააგო და ბრინჯაოს მედლისთვის მოუწევს ხალიჩაზე გასვლა.

ასპარეზობას საწყის ეტაპზე გამოეთიშნენ **საბა ღამბაშიძე** (65 კგ) და **გოგა ოთინაშვილი** (70 კგ), მაგრამ მათი მეტოქეები ფინალში გავიდნენ,. შესაბამისად, ორივე ქართველი რეპეშაჟში გადავიდა და იქიდან ბრინჯაოსთვის ბრძოლას გააგრძელებენ.

გარდა ამისა, იმავე დღეს ხუთი ქართველი მოჭიდავე – რეზო მარსაგიშვილი (61 კგ.), საბა კობახიძე (74 კგ.), თორნიკე სამხარაძე (86 კგ.), სანდრო ყურაშვილი (92 კგ.) და ალექსანდრე აბრამიშვილი (125 კგ.) იასპარეზებს.

# ვალმოხდილ – თავაწეულნი

**ორმა გორჯალოსანმა, ცენტურიონებმა – ალექსანდრე თოდუამ და შალვა მამუკაშვილმა სანაკრებო კარიერა დაასრულეს. მათი ოფიციალური გაცილება 8 მარტს, 2026 წლის რაგბი ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალში, საქართველოსა და რუმინეთის მატჩის დროს, „ავჭალაზე“ შედგა.**

სიმბოლურია, რომ რაგბი ევროპის ჩემპიონის ტიტული ყველაზე მეტჯერ – 15-ჯერ სწორედ სანდრო თოდუას აქვს მოგებული, ხოლო შალვა მამუკაშვილი თასს 12-ჯერ დაეუფლა.

### ალექსანდრე თოდუა

ალექსანდრე თოდუამ რაგბის თამაში თბილისის „ლელოში“ დაიწყო. 2012-2014 წლებში მან ფრანგული პრო დე2-ის „ალბიში“ გაატარა, მერე კი მშობლიურ გუნდს დაუბრუნდა. 2018 წელს თოდუა „ბათუმში“ გადავიდა, 2021 წლიდან კი „შავი ლომის“ მოთამაშე გახდა.

საკლუბო დონეზე ის 5-ჯერ გახდა საქართველოს ჩემპიონი – 3-ჯერ „ლელოს“ და 2-ჯერ „ბათუმის“ შემადგენლობაში, ხოლო „შავ ლომთან“ ერთად 4-ჯერ მოიგო რაგბი ევროპის სუპერ თასი. ალექსანდრე თოდუას სანაკრებო დებიუტი 2008 წელს ჩეხეთთან 22:3 მოგებულ შეხვედრაში შედგა. ეს იყო ჩვენი გუნდის მე-100 მატჩი ისტორიაში და თოდუა 180-ე მოთამაშე გახდა, რომელმაც ბორჯღალოსნების კვართი მოირგო.

2025 წლის ჩათვლით, თოდუამ ჯამში 122 სანაკრებო, ოფიციალური თამაში ჩაატარა. ამ მაჩვენებლით ის **დავით კაჭარავას** გაუტოლდა და ნაკრებში ჩატარებული მატჩების რაოდენობით, მასთან პირველ-მეორე ადგილებს იყოფს. ფრთაზე მოთამაშე თოდუას ანგარიშზე 20 სანაკრებო ლელოა. პირველი ლელო მან 2009 წელს აშშ-ს გაუტანა. ის ოთხი მსოფლიო თასის მონაწილეა (2011, 2015, 2019, 2023) და ორ შეხვედრაში შეძლო ლელოს გატანა (ურუგვაისთან და ავსტრალიასთან). 38 წლის სანდრო თოდუა მოთამაშის კარიერას განაგრძობს. ის ცოტა ხნის წინ თბილისის „წიქარას“ შეუერთდა.

### შალვა მამუკაშვილი

შალვა მამუკაშვილმა რაგბის თამაში „ყოჩებში“ დაიწყო, საიდანაც 2012 წელს „არმიაში“ გადავიდა და ორი სეზონი ამ გუნდში გაატარა. 2014 წლის შემდეგ ის ლეგიონერი გახდა და ითამაშა ევროპის სამივე უძლიერეს ჩემპიონატში - ინგლისში „სეილ შარქსსა“ (2014-2015)




და „ლესთერ თაიგერსში“ (2020); გაერთიანებულ რაგბის ჩემპიონატში შოტლანდიურ „გლაზგო უორიორზში“ (2015-2016); საფრანგეთის ტოპ 14-ში „მონპელიესა“ (2016-2017) და „ტულონში“ (2017). გარდა ამისა, 2017-2019 წლებში ითამაშა საფრანგეთის პრო დე2-ის „კარკასონში“ და თბილისის „ლოკომოტივში“. 2021 წლიდან ის „შავი ლომის“ წევრი გახდა და მასთან ერთად 3-ჯერ მოიგო რაგბი ევროპის სუპერ თასი. ის ორჯერ იყო საქართველოს ჩემპიონი „არმიასა“ და „ლოკომოტივთან“ ერთად.

შალვა მამუკაშვილის სანაკრებო დებიუტი 2011 წელს სამხრეთ აფრიკის „ა“ ნაკრებთან შედგა. ეს იყო ბორჯღალოსნების 132-ე ოფიციალური ტესტ-მატჩი და შალვა გახდა 208-ე მორაგბე, რომელმაც საქართველოს ნაკრების კვართი მოირგო. 2023 წლის ჩათვლით, მან 103 შეხვედრა ჩაატარა და ამ მაჩვენებლით ბორჯღალოსნებში მე-5 ადგილზეა.

კვაჭის პოზიციაზე მოთამაშე მამუკაშვილმა ჯამში 14 სანაკრებო ლელო გაიტანა. მან პირველი ლელო 2012 წელს ესპანეთს დაუდო. ის სამი მსოფლიო თასის მონაწილეა (2015, 2019, 2023). ცოტა ხნის წინათ შალვა მამუკაშვილი საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრების შერკინების მწვრთნელად (აუტის) დაინიშნა და საკუთარ გამოცდილებას ახალგაზრდა ქართველ მორაგბეებს გაუზიარებს.

* * *

**სიმბოლურია, რომ სახელოვან ვეტერანთა მაგალითზე ღირსეული ცვლა მოდის, თანაც მშვენიერთა სქესის სახითაც, რომელიც უკვე წარმატებებსაც აღწევს.**

კერძოდ, თბილისის საკრებულოში სარვამარტო შეხვედრა მოუწყვეს საქართველოს ქალთა ნაკრებს, რომელიც რეიტინგში 26-ე ადგილამდე აღზევდა!




# მხოლოდ დეკადის?

**საქართველოს საკალათბურთო ნაკრების ყოფილი ცენტრი და ესპანური „ტენერიფეს“ ლიდერი გიორგი შერმადინი ცნობილმა სპორტულმა გამოცემა Eurohoops-მა ჩემპიონთა ლიგის დეკადის საუკეთესო ხუთეულში შეიყვანა.**

შერმადინის გარდა საუკეთესო ხუთეულში მოხვდნენ: მარსელინიო უერტასი, კენდრიკ პერი, ბონზი კოლსონი და ვოიცეხ ხრუბანი.

გამოცემა შერმადინზე შემდეგ რამეს წერს:

**„გიორგი შერმადინი ჩემპიონთა ლიგის ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირია. ტენერიფეში მარსელინიო უერტასთან ერთად თამაშისას მან ისტორიაში ყველაზე მომაკვდინებელი დუეტი შექმნა. შერმადინის თამაში ფარქვეშ უბრალოდ საოცარია, ის ასევე ძალიან კარგად აყენებს ბლოკებს და მოხსნებზეც მშვენივრად ირჯება. 2022 წელს, როდესაც „ტენერიფემ“ ტიტული მოიგო, შერმადინი ერთ-ერთი საკვანძო კალათბურთელი იყო. გიორგის სტატისტიკური დომინაცია და მუდმივი მაღალი დონე მას გუნდის ათწლეულის სიმბოლური ხუთეულის ცენტრისთვის ერთადერთ ლოგიკურ არჩევანად აქცევს“,** – წერს გამოცემა.

**შეგახსენებთ,** რომ ჩემპიონთა ლიგის გათამაშება 2016 წლიდან ტარდება.

# ფეხბურთის სამშობლოც

**საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და „პარი სენ-ჟერმენის“ შემტევის ხვიჩა კვარაცხელიას შეძენით პრემიერლიგის გრანდები ინტერესდებიან. ამის შესახებ ინფორმაციას ცნობილი ბრიტანული გამოცემა TeamTalk-ი ავრცელებს.**

როგორც ცნობილი ხდება, ქართველი ფეხბურთელის დამატებით: „არსენალი“, „ლივერპული“ და „მანჩესტერი“ არიან დაინტერესებულნი და მის მდგომარეობას აქტიურად აკვირდებიან.

აღნიშნულ ტრანსფერზე პარიზული კლუბის პოზიციაც ცნობილია: თუ მსურველი კლუბი კვარაცხელიას სანაცვლოდ 80 მილიონს გადაიხდის, შესაძლოა, გარიგება ზაფხულის სატრანსფერო პერიოდში მართლაც შედგეს.

**შეგახსენებთ, რომ ხვიჩა კვარაცხელია პსჟ-მ 2025 წლის იანვარში 80 მილიონის სანაცვლოდ „ნაპოლიდან“ შეიძინა. ქართველმა ფეხბურთელმა პარიზულ კლუბთან ერთად არაერთი ტიტულის მოგება უკვე მოახერხა, მათ შორის ჩემპიონთა ლიგის.**





# სახელმწიფო უსაფრთხოების ბადეს ერთბაშად 30 კორუმპირებული ლოქო ამოჰყვა!

(მეორე გვერდიდან)

გამოძიებით დადგინდა, რომ მარნეულის მუნიციპალიტეტში მდებარე 20 000 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთის რამდენიმე ნაწილად დაყოფა-გამიჯვნის საკითხის თითქოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიაში დადებითად გადაწყვეტის სანაცვლოდ, მერიის ადმინისტრაციული სამსახურის თანამშრომელმა და მისმა ნდობით აღჭურვილმა პირმა მოქალაქისგან მოითხოვეს 60 000 აშშ დოლარი, საიდანაც წინასწარ აიღეს 5 000 აშშ დოლარი.

**მეათე საქმე:** დიდი ოდენობით თაღლითობის, ყალბი დოკუმენტის დამზადებისა და გამოყენების, ასევე სამსახურებრივი გულგრილობის ფაქტზე **ახმეტის** მუნიციპალიტეტის მერიის ინსპექტირების ჯგუფის თავმჯდომარეს, ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის ქონების მართვისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების თანამშრომელს, ზედამხედველობისა და ადგილობრივი მოსაკრებლების ადმინისტრირების განყოფილების უფროს სპეციალისტს, ასევე კონტრაქტორი კომპანიის, შპს „არტიფექსის“ დირექტორს და ინსპექტირების ორგანოს, შპს „ლტ ექსპერტის“ ექსპერტს ბრალდება წარედგინათ.

გამოძიებით დადგინდა, რომ ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ახმეტის N2 და N4 საბავშვო ბაღების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულების პროცესში ინსპექტირების ჯგუფის წევრებმა სამსახურებრივი მოვალეობა არაჯეროვნად შეასრულეს და ინსპექტირების ორგანოს, შპს „ლტ ექსპერტის“ ექსპერტის დახმარებით, ყალბი დოკუმენტაციის გამოყენებით, შპს „არტიფექსის“ დირექტორი მოტყუებით დაეუფლა სახელმწიფოს კუთვნილ 22 242 ლარს.

**მეთერთმეტე საქმე:** დიდი ოდენობით თაღლითობის, დიდი ოდენობით თაღლითობაში დახმარებისა და სამეწარმეო საქმიანობაში უკანონო მონაწილეობის ფაქტებზე **სენაკის** მუნიციპალიტეტის საკრებულოს ყოფილ თავმჯდომარეს, ასევე, ამავე მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში არსებული ა(ა)იპ „სენაკის საფეხბურთო კლუბის“ დირექტორსა და მის მოადგილეს ბრალდება წარედგინათ.

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ყოფილმა თავმჯდომარემ, რომელსაც მოქმედი კანონმდებლობით ეკრძალებოდა პირადად ან სხვისი მეშვეობით საწარმოს დაარსება და მის მართვაში მონაწილეობა, დააარსა და ფლობდა კომერციულ ორგანიზაციას, რომელიც ფორმალურად რეგისტრირებული იყო მისი მეუღლის სახელზე, ხოლო კომპანიის საქმიანობას იგი ერთპიროვნულად წარმართავდა და სამსახურებრივ მფარველობას უწევდა.

აღნიშნული კომპანიის მეშვეობით მან მონაწილეობა მიიღო და გაიმარჯვა ა(ა)იპ „სენაკის საფეხბურთო კლუბის“ მიერ გამოცხადებულ ტენდერში, რომლის მიხედვითაც, ევალებოდა საფეხბურთო კლუბ „ეგრისის“ ფეხბურთელების სასტუმროში განთავსებისა და კვების ხარჯების მომსახურება. საკრებულოს ყოფილმა თავმჯდომარემ, საფეხბურთო კლუბის დირექტორსა და მის მოადგილესთან წინასწარი შეთანხმებით, შეადგინა მომსახურების გაწევის ამსახველი მიღება-ჩაბარების აქტები, დოკუმენტებში გაწეული მომსახურების გაზრდილი ოდენობების შესახებ ყალბი ინფორმაცია შეიტანეს, რის შედეგადაც თაღლითურად დაეუფლნენ სახელმწიფოს კუთვნილ 21 212 ლარს.

**მეთორმეტე საქმე:** წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ დიდი ოდენობით თაღლითობის, ყალბი ოფიციალური დოკუმენტის გამოყენებისა და სამსახურებრივი გულგრილობის ფაქტებზე პასუხისგებაში მიეცნენ **ხულოს** მუნიციპალიტეტის მერიის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების შესრულების მონიტორინგისა და ანგარიშსწორების კომისიის ყოფილი თავმჯდომარე და ორ წევრი, ასევე, სამუშაოებზე ზედამხედველი კომპანიის ორი ექსპერტი და სამუშაოების შემსრულებელი ორი კომპანიის ყოფილი ხელმძღვანელი პირები.

ჩატარებული გამოძიებით დადგენილია, რომ კურორტ ბეშუმში სასმელი წყლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდა არასრულყოფილად, რა დროსაც ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის პასუხისმგებელი პირების მხრიდან სამსახურებრივი მოვალეობის არაჯეროვანი შესრულების გამო კომპანიის ხელმძღვანელი პირები სახელმწიფოს კუთვნილ თანხებს თაღლითურად დაეუფლნენ.

აღნიშნულ ქმედებებთან დაკავშირებით გამოძიებები მიმდინარეობს, რაც სასჯელის სახით, ძირითადად, 3-დან 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

**სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო განაგრძობს მუშაობას ყველა სახის კორუფციული დანაშაულის გამოვლენასა და პრევენციაზე, ვიდრე არ მივაღწევთ ქართული სახელმწიფოს გაცხადებულ მიზანს – საქართველო იყოს ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანა მსოფლიოში კორუფციის დაბალი დონით“,** – აღნიშნულია სუს-ის ინფორმაციაში.

## სანთელი



# მიხეილ სალაძის გახსენება

**დღეს, 11 მარტს ორმოცი ტკივილიანი დღე გავიდა შენი გარდაცვალებიდან ჩვენო ერთგულო და გამორჩეულო ძმაო, მიშა!**

**ძალიან გვიჭირს უშენობა. დღე არ გავა, რომ არ გაგიხსენოთ...**

**სამწუხაროდ, ულმობელმა სიკვდილმა მხოლოდ ძვირფასი მოგონებები დაგვიტოვა შენს ერთგულ მეგობრებს...**

**შენ ჭეშმარიტი მართლმადიდებელი იყავი და გვწამს, რომ უფალმა უკვე დაგიმკვიდრა სამუდამო სასუფეველი თავის სავანეში!..**

**თენგიზ ქავთარაძე, ზაურ ფხალაძე, ნოდარ კურტანიძე, ნოდარ ბოლოთაშვილი, ნოდარ მთვარელიძე, კობა ნარჩემაშვილი, თემურ მურღულია, მერაბ გურული, ზურაბ ფორჩხუა, თემურ კუჭუხიძე, ვოვა ისელიძე.**

# უცხო ქვეყნის კიდევ 74 მოქალაქე საქართველოდან გააძევეს

**შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, სამინისტროს შესაგამის დანაყოფებთან მჭიდრო კოორდინაციით, ბოლო დღეების განმავლობაში ჩატარებული ღონისძიებების შედეგად, უცხო ქვეყნის 74 მოქალაქე საქართველოდან გააძევეს,** – ინფორმაციას შსს ავრცელებს.

მიგრაციის დეპარტამენტის მიერ ჩატარებული კომპლექსური ღონისძიებების შედეგად, ქვეყნიდან გაძევებულ იქნა: **აზერბაიჯანის, ბელორუსის, ეგვიპტის, თურქმენეთის, ინდოეთის, იორდანიის, ნიგერიის, რუსეთის, სომხეთის, უზბეკეთის, ყაზახეთის, ჩეხეთის, ჩინეთისა და თურქეთის – ჯამში 74 მოქალაქე.**

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, გაძევებულ პირებს ქვეყანაში შემოსვლის აკრძალვა დაუწესდათ.

# უკრაინის უზენაესმა სასამართლომ პირველად აღიარა ერთნაირსქესიანთა კავშირი ოჯახად



**უკრაინის უზენაესმა სასამართლომ პირველად აღიარა ერთნაირსქესიანი წყვილი ოჯახად,** – ამის შესახებ ორგანიზაცია Insight LGBTQ-ზე დაყრდნობით „რბკ- უკრაინა“ წერს.

ორგანიზაციის ინფორმაციით, თებერვლის ბოლოს უკრაინის უზენაესმა სასამართლომ უარყო მოძრაობის „ყველა ერთად“ საკასაციო საჩივარი და ძალაში დატოვა ქვედა ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც დადგინდა ორი მამაკაცის ერთ ოჯახად ცხოვრება. საქმე ეხება ისრაელში უკრაინის საელჩოს პირველი მდივნის, ზორიან კისისა და საზოგადოებრივი აქტივისტის, ტიმურ ლევჩუკის ურთიერთობას. როგორც მედია წერს, ისინი ერთად ცხოვრობენ 2015 წლიდან. 2021 წელს წყვილი აშშ-ში ოფიციალურად დაქორწინდა, თუმცა უკრაინის კანონმდებლობა ასეთ კავშირებს არ აღიარებს.

2024 წელს ზორიან კისი დაინიშნა ისრაელში უკრაინის საელჩოს პირველ მდივნად, თუმცა უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტრომ, უკრაინულ კანონმდებლობაზე დაყრდნობით, უარი თქვა მისი პარტნიორის ოჯახის წევრის სტატუსით ისრაელში გადასვლის უფლების გაცემაზე.

კისმა სასამართლოს მიმართა. 2025 წლის ივნისში კიევის დესნიანსკის რაიონულმა სასამართლომ პირველად აღიარა, რომ წყვილი ფაქტობრივი ქორწინებით ურთიერთობაში იმყოფებოდა. მოგვიანებით, მოძრაობამ „ყველა ერთად“ უზენაეს სასამართლოში საკასაციო საჩივარი შეიტანა, თუმცა ის მიმდინარე წლის თებერვლის ბოლოს არ დაკმაყოფილდა.

მედია განმარტავს, რომ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება უკრაინაში ერთნაირსქესიან წყვილთა ქორწინებას არ აკანონებს, თუმცა ადგენს ერთ ოჯახად თანაცხოვრების ფაქტს, ანუ ფაქტობრივი ქორწინებით ურთიერთობას.

Insight LGBTQ-ში უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებას „უდიდეს პრეცედენტს“ უწოდებენ: **„ვერცერთი ჰომოფობიური ან კონსერვატიული ორგანიზაცია ვეღარ გამოიყენებს სასამართლოებს ინსტრუმენტად ლგბტქ+ ადამიანების წინააღმდეგ გადაწყვეტილებების გასაუქმებლად ან მათი დევნისთვის „საზოგადოებრივი მორალის“ მოტივით. სახელმწიფომ დაიცვა პირადი ცხოვრების საზღვრები“,** – ნათქვამია ორგანიზაციის განცხადებაში.

# საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებს ეხმარებიან

**საოკუპაციო ხაზთან მცხოვრებ ფერმერებს „საქართველოს მელიორაციის“ მიმართ 2025 წლის არსებული დავალიანება ჩამოეწერება და 2026 წელს გაწეული მომსახურების საფასურს სრულად დაასუბსიდირებს,** – ინფორმაციას გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ავრცელებს.

უწყების ცნობით, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, საირიგაციო წყლის მიწოდების მომსახურების საფასურის სუბსიდირების სქემაში საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმდებარე სოფლებიც ჩაერთო.

**„ოკუპირებულ ტერიტორიებთან საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები მოსახლეობა სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებულ მხარდაჭერას საჭიროებს. სწორედ ამიტომ ამ სოფლებში რეგისტრირებულ წყალმომხმარებლებს 2026 წელს გაწეული მომსახურების საფასურს სახელმწიფო სრულად დაუსუბსიდირებს. ამასთან, ჩამოეწერებათ „საქართველოს მელიორაციის“ მიმართ 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული დავალიანებაც“,** – განაცხადა შპს „საქართველოს მელიორაციის“ გენერალურმა დირექტორმა **გიგლა თამაზაშვილმა**.



# მცხეთის ისტორიული ძეგლების მონიტორინგი იწყება

**იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრისა და მისი მრჩეველი ორგანოების, ICOMOS-ისა და ICCROM-ის წარმომადგენლები საქართველოს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის – მცხეთის ისტორიული ძეგლების მონიტორინგის მიზნით ეწვივნენ.**

მისიის წევრები ძეგლების კონსერვაციის საერთო მდგომარეობას, მცხეთაში მოქმედი ქალაქთმშენებლობის განსაკუთრებული რეჟიმის, მორატორიუმის, ეფექტიანობისა და სივრცითი განვითარების საკითხებს შეაფასებენ.

ვიზიტის ფარგლებში დღეს, საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროს ეგიდით, სამუშაო შეხვედრა გაიმართა, რომელზეც მცხეთასთან დაკავშირებული აქტუალური საკითხები, მათ შორის, ქ. მცხეთის სივრცით-ტერიტორიული განვითარების მართვის დოკუმენტაციის შემუშავების საკითხები განიხილეს. შეხვედრას უძღვებოდნენ საქართველოს რეგიონული განვითარების მინისტრი კახაბერ გულედანი და საქართველოს კულტურის მინისტრის მოადგილე **გიორგი მირცხულავა**.

## ამბავთა აკიდო



# ტაშკენტში ქართული კულტურის დღეები იმართება

**საქართველოს კულტურის სამინისტროს ორგანიზებითა და უზბეკეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს მხარდაჭერით, უზბეკეთის დედაქალაქ ტაშკენტში ქართული კულტურის დღეები მიმდინარეობს.**

კულტურის დღეები საქართველოს სახელმწიფო ფოლკლორული ანსამბლის, „ერისიონისა“ და უზბეკეთის ალიშერ ნავოის სახელობის ოპერისა და ბალეტის დიდი თეატრის ანსამბლის, „ტუმორის“ გალაკონცერტით გაიხსნა.

თეატრის დარბაზში მოეწყო ქართულ-უზბეკურ თემატიკაზე შექმნილი ნამუშევრების გამოფენა.

ღონისძიებას საქართველოს კულტურის მინისტრი თინათინ რუხაძე, უზბეკეთის რესპუბლიკის კულტურის მინისტრი ოზოდბეკ ნაზარბეკოვი, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი უზბეკეთის რესპუბლიკაში დავით კოტარია და სხვა მიწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.

10-11 მარტს ალიშერ ნავოის სახელობის კინოთეატრში ნაჩვენები



იქნება რეჟისორების – ელდარ შენგელაიასა და მიხეილ კობახიძის ფილმები: „შერეკილები“, „ქორწილი“, „ქოლგა“ და „მუსიკოსები“.

**„ქართული კულტურის დღეები უზბეკეთში კიდევ ერთხელ ადასტურებს ამ პროექტის განსაკუთრებულ მნიშვნელობას. ორი ქვეყნის სახელმწიფო ანსამბლებმა საუკეთესოდ წარმოაჩინეს კულტურის ძალა ხალხებს შორის ურთიერთობაში.**

**ქართული კულტურის დღეების მრავალფეროვანი პროგრამის ნაწილია ასევე ქართულ-უზბეკურ თემატიკაზე შექმნილი ნამუშევრების გამოფენა და დიდი ქართველი რეჟისორების ფილმების ჩვენება, რაც კიდევ უფრო დააახლოებს ჩვენს ხალხებს, გაამყარებს ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობას“,** – განაცხადა **თინათინ რუხაძემ.**

უზბეკეთის რესპუბლიკაში ვიზიტის ფარგლებში, თინათინ რუხაძემ ტაშკენტში, შოთა რუსთაველის სახელობის სკვერში მდებარე პოეტის ძეგლი ყვავილებით შეამკო.






# საქართველოს მწერალთა სახლი ლონდონის წიგნის ბაზრობაზე

**10-12 მარტს, მწერალთა სახლი საქართველოს კულტურის სამინისტროს ხელშეწყობით, 2026 წლის ლონდონის წიგნის ბაზრობაზე ეროვნული სტენდითა და ლიტერატურული პროგრამით მონაწილეობს.**

მწერალთა სახლის ინფორმაციით, წიგნის ყოველწლიური საერთაშორისო ბაზრობა ტრადიციულად „ოლიმპია ლონდონში“ იმართება, საქართველო მასში 2015 წლიდან მონაწილეობს.

მწერალთა სახლი ეროვნულ სტენდზე წარმოდგენილი იქნება 10-მდე ავტორით, მთარგმნელითა და გამომცემლებისგან შემდგარი ჯგუფით.

ქართული დელეგაციის წევრები, ქართული ლიტერატურისა და წიგნის პოპულარიზაციის მიზნით, შეხვედრებს გამართავენ სხვადასხვა ქვეყნის მთარგმნელებთან და გამომცემლებთან.

ფესტივალის ფარგლებში გაიმართება შეხვედრები გამომცემლობებთან, სადაც მოხდება ქართველი ავტორების წარდგენა, მწერალთა სახლის საქმიანობისა და მთარგმნელობითი პროგრამის გაცნობა.

პროგრამაში, რომელიც მწერალთა სახლის მიერ არის ორგანიზებული, მონაწილეობას მიიღებს ავტორების, მთარგმნელებისა და გამომცემლებისგან შემდგარი ჯგუფი, რომელსაც წარმოადგენენ: შორენა შავერდაშვილი, ნენე გიორგაძე, ნინო გუგეშაშვილი, გელა ჩქვანავა, ბაჩო კვირტია, ცირა ყურაშვილი, ჯონ უილიამ ნარინსი და რობერტ მორგანი.

**საქართველოს ეროვნულ სტენდზე წარმოდგენილი იქნება გამომცემლობები: „დიოგენე“, შორენა შავერდაშვილის გამომცემლობა, „წიგნი+ერი“, „საქწიგნი“, წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაცია და „ქართული ფილმის“ მიერ გამოცემული ინგლისურენოვანი წიგნები.**

**საერთაშორისო ბაზრობაში მონაწილე გამომცემლებს მწერალთა სახლი გადასცემს 2026 წლის კატალოგს, რომელიც მოიცავს თანამედროვე ქართველ მწერალთა შემოქმედებით ბიოგრაფიასა და მათი ნაწარმოებების სინოფსისებს.**

# ემიგრანტი მწერლის ნანა ჩხაიძის შემოქმედებითი საღამო

**„ჩემი იავნანა გიმღერე – ზღვისპირეთელი“ – ასე ეწოდება ემიგრანტი პოეტის, ნანა ჩხაიძის კრებულს, რომლის წარდგინება და შემოქმედებითი საღამო საქართველოს მწერალთა სახლში გაიმართა.**

ავტორის რიგით მე-8 წიგნში ქართულთან ერთად შესულია თარგმანები – აფხაზურ, ინგლისურ და თურქულ ენებზე, რაც ერთგვარად მანიშნებელია შემოქმედის ფართო აუდიტორიის წინაშე წარდგენის. ავტორი ბავშვობიდან წერს ლექსებს, რომლებიც ეტაპობრივად იბეჭდებოდა სხვადასხვა ჟურნალებში. 90 წლების სიდუხჭირემ აიძულა ემიგრაციაში წასვლა, სადაც გულის ნადების, სიყვარულის, მონატრების შვებას პოეზიაში კლავდა.

**„ჩემი იავნანა გიმღერე – ზღვისპირეთელი“ კი ეძღვნება შვილიშვილებს – „მორიგ წიგნს ვუძღვნი ჩემს შვილიშვილებს – გიორგი და არიადნი აგგელოუებს და მათთან ერთად ყველა იმ არაქართული გვარის მატარებელ ბავშვს, რომელთა გვარების უკან ქართველი ემიგრანტი დედები დგანან. სწორედ მათი დამსახურებაა, რომ ეს ბავშვები ფლობენ ქართულ ენას, დადიან ამ ქვეყნებში არსებულ ქართულ საკვირაო სკოლებში, გაერთიანებულები არიან სხვადასხვა ქართულ წრეზე, მოღვაწეობენ ქართულ თეატრებსა და ცეკვებში. დიახ, ქართული იავნანით იწყება მათთვის მეორე მშობლიური ენის სწავლა“,** – ამბობს პოეტი.

ღონისძიება გაიმართა სსიპ გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის 51-ე საჯარო სკოლის „Art კლუბის“, ფესტივალი მემკვიდრეობის და საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის ორგანიზებით.



**განსაკუთრებული მადლობა 51-ე საჯარო სკოლის დირექტორს, ქალბატონ ეკატერინე წიფურიას საუკეთესო, შემოქმედებითი მოსწავლეების აღზრდისათვის და ამავე სკოლის პიარ-მენეჯერს ნანა ვერულაშვილს, რომელმაც ორგანიზება გაუწია წიგნის გამოცემას და ღონისძიებას. წიგნის რედაქტორია ნანა ვერულაშვილი.**


**საქართველოს რესპუბლიკა**

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35)

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04)

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,
თემურ ქორიძე,
ოთარ ტურაბელიძე,
გია პლატონიშვილი.**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17)

ტექნიკური რედაქტორი:
**კახა ქორიძე.**

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი.**

**მისამართი:**
თბილისი,
აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
**sak@sak.ge**



გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმობეჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე.



იბეჭდება სტამბა
**„ფავორიტში“**
აბელ ენუქიძის N5

ფავორიტი
სტამბა რომელსაც ენდობი

uac(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 689431



**რეკლამისთვის დარეკეთ:**
**577-77-27-17**
rkobulia29@gmail.com
ნებისმიერი თანხა ჩარიცხეთ ანგარიშზე:
GE90BG0000000538329790


**მომდევნო ნომერი გამოვა პარასკევს, 13 მარტს**